# ქალი,

## ტრადიციასა და ჭეშმარიტებას შორის

Muslim

ქალ
ISLAM
ISLAM
ISLAM

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن حاولو مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

# ჭეშმარიტებისა და ტყუვილის შესახებ

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

# სარჩევი


| | |
|---|---|
| ქალი ტრადიციებსა და ჭეშმარიტებას შორის | 7 |
| სქესობრივი კულტურა და ქალთა პრობლემები | 11 |
| ისლამი, ქალი და მწერლობა | 21 |
| პროფესორი მეჰმედ საიდ ჰათიბოღლუ ქალი ისლამის მიხედვით | 27 |
| ქალი, ღვთიური გზავნილის მოვლინების პროცესში | 38 |
| ქალი, ღვთიური ნათელი თუ... | 44 |
| ქალი ყურანში, როგორც თავისუფალი და პასუხისმგებლობის მატარებელი არსება | 51 |
| ქალთა სახეები ყურანში | 58 |
| მორწმუნეთა დედა ჰზ. აიშე | 72 |
| მოტეხილი ხელი | 78 |
| ღვთისმოშიშობა სქესზე არ არის დამოკიდებული | 81 |
| ქალი, რწმენა და საზოგადოებრივი გავლენები | 88 |


muslim georgia
muslim international charity foundation

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

# ქალი ცრურწმენებსა და ქრისტიანობას შორის

პროფ. ალი ბარდაქოღლუ

ქალთა უფლებები, ზოგადად ადამიანის უფლებათა ნუსხაში, მნიშვნელოვანი შემადგენელია და ეს მხოლოდ კაცობრიობის ისტორიული გამოცდილებით ჩამოყალიბებული კონსესუსი კი არა, ამასთანავე ისლამის მიერ კაცობრიობისთვის მოტანილი ძირითადი ღირებულებებიდან ერთ-ერთია.

ქალთა უფლებების ან ქალთა პრობლემების შესახებ საუბრისას უმეტესწილად საზოგადოების სოციო-ეკონომიკურ აზროვნების საფუძველში დამკვიდრებული პატრიარქალური მოსაზრებები გვახსენდება. ამგვარი სტიგმატური დამოკიდებულების მიხედვით ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე დგას და შემდეგ ეტაპზე უკვე, არის მცდელობა, რომ ამგვარი მცდარი დამოკიდებულება რელიგიურად დადასტურდეს. რელიგიური ცოდნის წარმოებისა და გადაცემის დროს აუცილებელია ზომიერებისა და კრიტიკული

დამოკიდებულების გათვალისწინება, რათა მრევლზე მიწოდებული ინფორმაცია სანდო იყოს. ამ პროცესში საჭიროა შენარჩუნდეს ინფორმაციის სიცხადე. რელიგიის ძირითად მიზნებსა და რელიგიურ ტრადიციებს შორის განსხვავების გაუთვალისწინებლობა, ზემოთ აღნიშნულ მცდარ დამოკიდებულებას წარმოშობს, რომლის პრევენციის შესაძლებლობა რთული ხდება.

არადა, სარწმუნოება საზოგადოების პრობლემებს საფუძვლიანად განიხილავს და არსებული პრობლემების მოგვარების საერთო გეგმას ადგენს. შესაბამისად, რელიგიის ძირითად მიზნებს თუ კარგად დავაკვირდებით, იოლი შესამჩნევი გახდება, რომ ამ ტიპის პრობლემები და მცდარი შეხედულებები რელიგიის წიაღიდან არ მომდინარეობს. გამომდინარე აქედან, ისლამის საფუძვლებში, მის გზავნილსა და სწავლებაში ქალთა უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები არ არსებობს. ეს არის ტრადიციების, სხვა ადამიანებისგან გადმოღებული ქცევების, კულტურის, ისტორიული გამოცდილების, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული აზროვნებისა და დამოკიდებულების შედეგი. ისლამი გვეუბნება, რომ ღვთის წინაშე ქალიც და კაციც თანაბარია. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ქალთა მიმართ ასეთი მცდარი დამოკიდებულება მეტნაკლებად სულ

იყო, და ისლამი ამას გმობს. (იხ. ნაჰლ 58, 59; ზუჰრუფ 17, 18; თექვირ 8,9)

მიუხედავად ყურანის მოვლინებიდან თოთხმეტი საუკუნის გასვლისა, როგორც მუსლიმები, ჯერ კიდევ, ქალთა უფლებების საკითხებში არსებული პრობლემების წინაშე ვდგავართ და ამაზე საუბარი გვიწევს,არადა ვიცით,რომ ყურანი ამას გმობს. ეს ნამდვილად დასაფიქრებელი საკითხია. მეორეს მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ შუამავალი თავისი ქალიშვლების მიმართ ძალიან ლმობიერი, მოსიყვარულე და შემწყნარებელი იყო. ამის მიუხედავად არსებობდა ტრადიციამდე აყვანილი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მამები ქალიშვილებს მკაცრად ეპყრობოდნენ, სცემდნენ, ძალით ათხოვებდნენ და სხვა. ეს მიანიშნებს, რომ შუამავლისგან საკმარისი მაგალითი ვერ აგვიღია.

მიუხედავად ყურანის შეგონებისა და შუამავლის სამაგალითო ცხოვრებისა, 21-ე საუკუნეშიც კი ქალთა განათლების საკითხებში გარკვეული დაბრკოლებები შეინიშნება და ყველა ჩვენგანს, ამ მიმართულებით, გარკვეული პასუხისმგებლობა გვაკისრია. საზოგადოების ზოგიერთ ფენებში აშკარად შეინიშნება სქესობრივი ნიშნით განსხვავებული დამოკიდებულების ფაქტები, ოჯახური ძალადობა, მკვლე-

ლობა, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია და სხვა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით თვალშისაცემია ოჯახური სიწმინდის დაცვის თემა. ოჯახის პატიოსნებისა და ღირსების დაცვა საკმაოდ ფართე მნიშვნელობას ატარებს და მისი მხოლოდ ვიწრო ჭრილში განხილვა, ან მხოლოდ ქალების პასუხისმგებლობის დაყენება ზემოთ ჩამოთვლილი მცდარი შეხედულებების გამოძახილია.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

# სქესობრივი კულტურა და ქალთა პრობლემები

პროფ. მ. შევქი აიდინ

როგორც მთელს მსოფლიოში, ისე ჩვენს ქვეყანაშიც ქალთა პრობლემები საკმაოდ თვალსაჩინოა. მართალია ეს სურათი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარია, მაგრამ ზოგადად გოგონათა და ქალთა უფლებები სერიოზული საფრთხის წინაშეა. ამ მიმართულებით საჭიროა დადგინდეს პრობლემების ძირითადი მიზეზები და უნდა დაიწყოს ამ პრობლემების მოგვარების გზების ძიება. უპირველეს ყოვლისა უნდა ვაღიაროთ, რომ პრობლემის სათავე სქესობრივ აღქმასთან, სქესობრივ კულტურასთანაა დაკავშირებული.

## სქესობრივი კულტურა

საზოგადოებაში დამკვიდრებული აღქმა ქალისა და მამაკაცის შესახებ, ორივე სქესის ზოგადი იმიჯი, გავრცელებული შე-

ფასებები, მათი იდენტობა, ამ იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი, მათზე მიკერებული თვისებები, ქცევის ნორმები, როლები, სტატუსები, სქესობრივი ურთიერთობისა და ქცევის ფორმები, ოჯახის ტიპი, ნათესაური კავშირები, საპირისპირო სქესისადმი დამოკიდებულება და ქცევები, სქესობრივი მორალი, სიყვარულისა და სილამაზის აღქმა არის იმ ფაქტორების ერთდობლიობა, რომლებიც საზოგადოების სქესობრივ კულტურას ქმნიან. ბიოლოგიური თვალსაზრსით სქესობრივი გაგება ბუნებრივი და უნივერსალურია, მაგრამ ამ საფუძველზე წარმოქმნილი სოციო-კულტურული მიმართულება, ანუ სქესობრივი კულტურა უნივერსალური არ გახლავთ. სქესობრივი კულტურა ცვალებადია და ის საზოგადოებრივი წეს-წყობილების მიხედვით სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვაგვარია. ასევე ცვალებადია დროის მიხედვით.

## რელიგია და კულტურა

ყოველი საზოგადოების კულტურაში მნიშვნელოვანი როლი უკავია რწმენას და ამ რწმენის მიხედვით ჩამოყალიბებული ღირებულებები ქმნიან რელიგიას. ჩვენი კულტურის ჩამოყალიბებაში რელიგიას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. რელიგი-

ის კულტურაზე გავლენა აშკარაა, მაგრამ ეს გავლენა არ არის ცალმხრივი, ის ორმხრივია. რელიგიასა და კულტურას შორის ყოველთვის ურთიერთქმედება ხდება. რელიგიური ღირებულებები კულტურად გადაიქცევა და ასევე კულტურაც რელიგიურ ღირებულებებს მოირგებს და შეცვლის. ამ დროს კულტურის ელემენტები რელიგიურ ღირებულებებზე ზემოქმედებს და შესაძლებელია ეს ელემენტები რელიგიის ძირითად პრინციპებს კიდეც ეწინააღმდეგებოდეს. ამგვარად მომძლავრებული კულტურული გავლენები დროთა განმავლობაში რელიგიურ დასტურს იძენს და საზოგადოებისა თუ პიროვნების თვალში მისაღები ხდება. ბუნებრივია ყოველი ადამიანი თავისი კულტურული პოტენციალის წყალობით ცდილობს ჩაწვდეს ღვთიური გზავნილის აზრს. თუ ადამიანი არ დააკვირდება, კულტურას შეუძლია რელიგიური ღირებულებები მთლიანად მოირგოს და სათავისოდ შეცვალოს.

## სქესობრივი კულტურის ცვლილება

ჩვენ ყველანი მოწმე ვართ იმისა, რომ სქესობრივი კულტურის მიმართულებით რელიგიური ღირებულებები საფუძვლიან ცვლილებებს განიცდის. სქესობრივ გაგე-

ბასთან დაკავშირებული მრავალი ნაკლოვანი და მცდარი შეხედულება დაკავშირებულია წარსულის გადმონაშთებთან, წესებთან, ადათებთან და ასე შემდეგ, თუმცა ისინი რელიგიის არასწორ გაგებას არიან ამოფარებულნი. ასეთი დამოკიდებულება აზიანებს რელიგიას და ასევე ცხადია, რომ ქალთა პრობლემების საფუძველში სწორედ ეს მიდგომები დევს.

დღეს, მუსლიმების სქესობრივ დამოკიდებულებას თუ დავაკვირდებით, დავნახავთ, რომ ისეთი აზრი, დამოკიდებულება და ქცევებია შემორჩენილი, რომელსაც შუამავალი ებრძოდა და ისტორიის ბნელეთში დამარხა. ამგვარი დამოკიდებულებები ზოგჯერ იმდენად შორსაა წასული, რომ ისლამის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. ქალისა და კაცის ამ მხრივ განსხვავებულობის წარმოჩენა ისლამის ძირითადი ხაზიდან გადახვევაა. ეს ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ჩვენთანაც. წარმოიდგინეთ, არსებობს არც თუ ისე მცირე ოჯახები, სადაც ბიჭის დაბადება, მისი კვება, განათლება, მემკვიდრეობა და სხვა საკითხები უფრო პრიორიტეტულია და გოგონებს ნაკლები ყურადღება ექცევათ.

სქესობრივი განსხვავება და ამ მხრივ დისკრიმინაციული მიდგომები იმდენად

თვალსაჩინოა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. მაგალითად, ოჯახის სიწმინდესა და პატიოსნებაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, ნამუსისა და წესიერების დაცვას ქალებისგან ითხოვენ და მამაკაცი ამ მხრივ თითქოსდა ერთგვარი ლეგიტიმაციით სარგებლობს. თითქოს ისლამის ეს ძირითადი და მნიშვნელოვანი პრინციპი მხოლოდ ქალებს ეხებოდეს. არადა ყველამ ვიცით, რომ ეს ყველაფერი ადამიანებს ეხება და ქალი და კაცი განცალკევებული არ არის. ისლამს სურს ადამიანი იყოს წესიერი, ზრდილობიანი, ღირსეული და პატიოსანი. ამ ყველაფრის გათვალისწინება და შესაბამისად ცხოვრება ყველას ვალდებულებაა.

ამ თვალსაზრისით სქესობრივი განსხვავება არანაირ განმასხვავებელ ნიშანს არ წარმოადგენს. რამდენადაც ქალი ვალდებულია დაიცვას ღირსება და ნამუსი, იმდენად მამაკაციც ვალდებულია იგივენაირად მოიქცეს. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში მუსლიმთა რაღაც ნაწილში ეს მიდგომა შეიცვალა და ამგვარი მცდარი შეხედულებები ჩამოყალიბდა. მაგალითად, მრუშობა ქალისთვისაც და კაცისთვისაც ერთნაირად ცოდვაა, მაგრამ დღეს ზოგიერთი მუსლიმი ფიქრობს, რომ კაცისთვის ეს „არაუშავს“, ხოლო ქალისთვის მიუტევებელი ცოდვაა.

სინამდვილეში, სხვა მხრივ თუ შევხედავთ, ეს მდგომარეობა მამაკაცს უფრო ამცირებს და მას სრულყოფილი პასუხისმგებლობის მატარებელ ადამიანად აღარ წარმოაჩენს. ასეთ დროს მამაკაცი უპასუხისმგებლო არსებად არის წარმოდგენილი, ხოლო ქალი საცოდავ არსებად, რომელსაც დაცვა სჭირდება. გამომდინარე აქედან, ეს მცდარი წარმოდგენა და მანკიერი ტენდენცია მამაკაცებმა უფრო უნდა გააპროტესტონ.

ბუნებრივია, ამ საკითხში არსებული ამგვარი გაგება დღეს არ წარმოქმნილა. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

ამგვარი გაგებით, ქალი ყოველთვის საფრთხილოა, გასაკონტროლებელი, რომელსაც ვერ ენდობი. ამგვარი არაჯანსღი დამოკიდებულების გამო ადამიანები იმდენად შორს წავიდნენ, რომ ქალიშვილებზე წერა-კითხვის სწავლების წინააღმდეგი იყვნენ იმ მოტივით, რომ ისინი შეყვარებულებს წერილს ვეღარ მიწერდნენ. გარდა ამისა აღნიშნული ტენდენციის გავლენით ოჯახის უფროსები ყველა მიმართულებით ზღუდავდნენ ქალებს, ზღუდავდნენ მათი განათლების შესაძლებლობას, დასაქმებას, ხშირია ძალადობა და ა. შ. ამ ყველაფრის მიზეზი კი ისევ და ისევ ქალის მიმართ ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულებაა.

ქალების მიმართ ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულების უკან რელიგიურ მოსაზრებებს იშველიებენ და რაც რეალურად არ არის რელიგიაში იმას ამბობენ. მაგალითად, შუამავალ ადამის სამოთხიდან გამოძევებას ევას უკავშირებენ და მიიჩნევა, რომ ადამი ევამ აცდუნა, არადა ყურანში მსგავსი რამ არ წერია. ღმერთი ორივეს მიმართავს და შეცდომაც ორივემ ჩაიდინა. ასევე ორივემ ერთად მოინანია ჩადენილი.

„და: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური ნაყოფი ჭამეთ (თქვენ ორმა) რამდენიც გენებოთ და სადაც გენებოთ (თქვენ ორს), მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ (თქვენ ორმა), რომ არ იქცეთ (თქვენ ორი) უსამართლონი!

მაშინ ეშმაკმა ეჭვი ჩაუგდო მათ, რათა ცხადი ექმნა მათთვის, რაც დაფარული იყო სასირცხოთაგან მათთვის და უთხრა: თქვენმა ღმერთმა მხოლოდ იმიტომ აგიკრძალათ ეს ხე, რომ არ გამხდარიყავით ანგელოზები ან უკვდავები.

და მათ ორივეს შეჰფიცა : უეჭველად, თქვენთვის კეთილის მრჩეველი ვარ მე.“ (არაფ 19-21)

ჩვენ ვუთხარით: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური

ნაყოფი ჭამეთ (თქვენ ორმა) რამდენიც გე-
ნებოთ და სადაც გენებოთ, მაგრამ ამ ხეს
არ გაეკაროთ , რომ არ გახდეთ უსამართ-
ლონი (თორემ ცოდვილნი გახდებით).

ეშმაკმა ფეხი დააცდენინა (ორივეს) და
გამოყარა იქიდან , სადაც იყვნენ. და ჩვენ
ვუბრძანეთ: დაეშვით (დედამიწაზე), მტრე-
ბად მოქცეულნი ერთმანეთისთვის! თქვენი
ადგილი მიწაზეა, დროებითი საცხოვრებ-
ლით და სარჩო-საბადებელით". (ბაყარა 35-36)

წარმოგიდგენთ რამოდენიმე მაგალითს,
რომლებიც აღნიშნულ ტრადიციასთანაა
დაკავშირებული: "შვილო, გოგო თუ გეყო-
ლება პატიოსან ძიძას მიაბარე და გაზრ-
დამდე კარგად მიხედე. როცა გაიზრდე-
ბა მასწავლებელს მიაბარე და ნამაზის
ლოცვა, მარხვა, ყურანის კითხვა და სხვა
რელიგიური წესები ასწავლე. წერას ნუ
ასწავლი, რადგან თავისი სურვილი წე-
რილით არ გაანდოს იმას ვინც სურდეს.
როგორც კი ზრდასრული გხადება. ევადე
კარგ ქმარზე დააქორწინო. უმჯობესია არ
გყავდეს გოგო, მაგრამ რახან იქნება, ის ან
ქმრის უბეში უნდა იყოს, ან მიწის უბეში"...
(ქეიქავუს, 1, 255)

„ ზოგიერთი სწავლულის აზრით ადამი-
ანის ორი თვისება კაცებში სასურველია,
ხოლო ქალებში- სამარცხვინო. ეს ორი

თვისება სიმამაცე და ხელგაშლილობაა. ქალი თუ უშიშარია ქმრის და სხვების არ შეეშინდება, ღამით სახიფათო ადგილებში წავა და ცუდი შემთხვევის ალბათობა გაიზრდება.“

ყურანისა და სუნას მიხედვით ქალიც და კაციც თანსწორი ადამიანები არიან და ორივე სქესის წარმომადგენლებს ერთნაირი ვალდებულებები, უფლებები და პასუხისმგებლობები გააჩნიათ. ქალი და კაცი სხვადასხვა სქესის წყვილი არიან. შუამავალი ებრძოდა ქალების და განსაკუთრებით გოგონების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და მიმდევრებს მოუწოდებდა, რომ ვაჟებთან ერთად გოგონების განათლებაც იყო საჭირო. ის არამარტო მოუწოდებდა, არამედ საამისო პრაქტიკაც დანერგა. (ბუჰარი, ილიმ 36)

ისლამის სწრაფმა გავრცელებამ გარკვეული პრობლემები შექმნა. სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციია ხალხი მასობრივად შედიოდა ისლამის რიგებში. ისინი ყურანის გაგებას თავიანთი შეხედულებებისამებრ ცდილობდნენ და წარმოიქმნებოდა განსხვავებული ინტერპრეტაციები. ბუნებრივია, ამ პროცესში ყურანის და სუნას განსხვავებული გაგება და ალტერნატიული შეხედულებები წარმოიშვა. სწორედ ამ პროცესის დროს მოხდა ეს გადაცდომა,

რომელიც ქალის მიმართ უარყოფით და ხშირ შემთხვევაში დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ითვალისწინებდა. ეს გადაცდომები დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ადგილსა და სხვადასხვა ეპოქაში მრავალი ფორმით ვლინდებოდა. ზოგიერთ ასეთი გადაცდომა დროთა განმავლობაში მივიწყდა, ხოლო ზოგმა გაუძლო დროს და დღემდე არსებობს.

სანამ ამგვარი შეხედულებები იქნება სუსტი სქესის მიმართ, მანამდე ასეთი მცდარი დამოკიდებულებები იარსებებს. გამომდინარე აქედან, უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ, რომ ამგვარმა შეხედულებებმა რელიგიაში არ ჰპოვონ დასაყრდენი და ამ გზით უფრო არ გაძლიერდნენ. ამის მისაღწევად კი საჭიროა სწორი რელიგიური განათლება.

muslimgeorgia
muslim international charity foundation
muslim georgia

# ისლამი, ქალი და მნეოლობა

პროფ. მეჰმეთ გორმეზ

თანამედროვე მსოფლიოში მუსლიმი მწერლები, სწავლულები და ინტელექტუალები ქალთა საკითხში დისკუსიის რეჟიმში არიან. ამ მიმართულებით წარმოებული აკადემიური კვლევები და საზოგადოებრივი განხილვები ცხადყოფს, რომ აღნიშნული კრიზისი საკმაოდ ღრმაა. მსოფლიოს დასავლურ ნაწილში გლობალური პოლიტიკის აქტორები ისლამის ახალი იმიჯის შესაქმნელად ქალთა საკითხს იყენებენ და ისლამს თავს ესხმიან, რაც არსებულ კრიზისს უფრო და უფრო აღრმავებს. ამის საპასუხოდ მუსლიმთა მხრიდანაც ტარდება კვლევები და იწერება სტატიები, რომელთა საშუალებით საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენა ხდება.

ჩვენ კი, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხში, ქალთა პრობლემებზე საუბრის დროსაც ვითვალისწინებთ არა ჩვენი წმინდა წიგნის, ყურანის მოძღვრებას

და შუამავლის მიერ მედინაში დამკვიდრებულ ჭეშმარიტ პრინციპებს, არამედ სხვათა კულტურის ჭრილში ვცდილობთ განხილვას და ასე თავდაცვით რეჟიმში ვართ, რაც აღნიშნული კრიზისის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ჩვენ უკვე მუდმივად აღარ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა უფლებები ჰქონდათ ქალებს ისლამამდე. ძველი რომის, ბიზანტიის, ირანის, მესოპოტამიის თუ სხვა ცივილიზაციებში ქალთა მიმართ უკიდურესი ჩაგვრა და დისკრიმინაციული დამოკიდებულება მძვინვარებდა. ისლამამდელ არაბეთშიც, ცნობილი ფაქტია, რომ ახალდაბადებულ გოგონებს მიწაში ცოცხლად მარხავდნენ.

ამის მაგივრად ჩვენ უნდა ვისაუბროთ, იმაზე, თუ როგორ დაუბრუნა ისლამმა ამ ბავშვებს სიცოცხლე, როგორც შეიცვალა ამგვარი მანკიერი დამოკიდებულება, როგორ მიანიჭა ისლმმა ქალებს სათანადო უფლებები, როგორი იყო შუამავლის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მისი სიკვდილით არ შეჩერებულა და დღემდე მუშაობს და სხვა.

ქრისტიანობის წარსულს თუ გადავხედავთ, ქალებს განათლების მიღება ეკრძალებოდათ და ეს რელიგიური პრინციპის სახით ჩამოყალიბდა, მაგრამ მუდმივად ამაზე საუბრის ნაცვლად უმჯობესია შუა-

მავლის მიერ მოტანილ დადებით ნორმებზე ვისაუბროთ, რომლებიც ქალების სწავლა-განათლებას გულისხმობდა. ქალების განათლება ჰზ. აიშას თაოსნობით დაიწყო და გასაოცარ ტრადიციად იქცა. მერე ეს ტენდენცია რატომ შენელდა ამაზე ვისაუბროთ და ზოგმა რატომ მოიგონა, თითქოს შუამავალი გოგონებზე წერა-კითხვის სწავლების წინააღმდეგი იყო.

ზოგიერთი სარწმუნოება ქალების სალოცავებში შესვლას საერთოდ კრძალავდა და იმდენად ცოდვად ითვლებოდა, რომ დამნაშავეს მსხვერპლი უნდა შეეწირა. შუამავლის დროს კი ქალები სისტემატიურად დადიდნენ მეჩეთებში და ლოცვებში მონაწილეობას იღებდნენ. შემდეგში რატომ შეიცვალა ეს მდგომარეობა?

გარდა ამისა, საფრანგეთში, იტალიასა და პორტუგალიაში 1945 წლამდე ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდათ. ევროკავშირის ცენტრად მიჩნეულ ბელგიაში 1948 წლამდე, ხოლო შვეიცარიაში 1971 წლამდე იგივე სიტუაცია იყო და ქალები არჩევნებში მონაწილეობას ვერ იღებდნენ. არადა შუამავალი ჯერ კიდევ მედინაში არ იყო გადასული, როცა აქაბეს შეთანხმებაში მანდილოსნებიც იღებდნენ მონაწილეობას. შემდეგ მედინაშიც, საზოგადოებრივ თათბირებში ქალე-

ბის აქტიურობა მიღებული იყო. თუმცა, შემდგომში ეს ასე რატომ აღარ ხდებოდა არავინ განმარტავს.

დასავლურ ქვეყნებში ოჯახური ინსტიტუტი სავალალო მდგომარეობაშია. ადამიანი დავალეთის მსგავს სულიერებას მოკლებულ გარემოში ოჯახურ სითბოსაა დანატრებული. მუდმივად ამაზე აპელირების ნაცვლად,ჩვენში ოჯახების მდგომარეობას დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ.

როგორც ყურანში, ისე სუნაში ქალი ცალკე კი არ განიხილება, არამედ ღვთიური სწავლების ობიექტი ქალიც და კაციც თანაბრადაა. ქალი განხილულია არა როგორც ცალკე სქესი, არამედ როგორც ადამიანი, როგორც ოჯახისა და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. ნისას სურაში ღმერთი ქალისა და კაცის მოვალეობებზე ბრძანებს:

„ჰეი, ადამიანნო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან ,და გააჩინა მისგან მეწყვილე (მეუღლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. უეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენი!“ (ნისა 1)

აჰზაბის სურას 35-ე აიათში კი ნაბრძანებია:

„უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“

თევბეს სურას 71-ე აიათშიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა სწორი თანაცხოვრების ჭრილშია განხილული და არა სქესობრივი განსხვავების მიხედვით.

“მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!” (თევბე 71)

იგივე სურას 67-ე აიათში კი ნაბრძანებია:

„თვალთმაქცი კაცები და თვალთმაქცი ქალები ერთმანეთს ჰგვანან: უბრძანებენ ერთმანეთს უკეთურობას და უკრძალავენ სიკეთეს , და ხელმომჭირნეობენ. მათ დაივიწყეს ალლაჰი. მაშ,დაივიწყა მანაც ეგენი . უეჭველად,თვალთმაქცნი არიან გზასამცდარი!“ (თევბე 67)

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ჰოოფესორი შეპმედ საიდ ბათიბოღლუ

# ქალი ისლამის მიხედვით

აიფელ ბალაბან
ჰატიჯე გულერ

**ა. ბ: ბატონო მეჰმედ, გვინდა თქვენთან ერთად ისლამში ქალის შესახებ ვისაუბროთ. გთხოვთ, შუამავლის პერიოდის მაგალითებით დავიწყოთ.**

ღმერთმა ადამიანი წყვილად გააჩინა, ამიტომ სადაც იყო კაცი, იქ იყო ქალიც და ყველა პრობლემა ერთად გაიარეს. ისლამის შუამავალი ქალისაც და კაცისაც, ყველას შუამავალია. როდესაც პირველი გზავნილი მოუვიდა შუამავლის პირველი მხარდამჭერი მისი მეუღლე იყო, რაც კაცობრიობისათვის განსაკუთრებით მნიშნელოვანია. შემდგომშიც, ისლამის გავრცელებისა და სწავლების საკითხებში ქალების როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა და ამის ღირსეული მაგალითები მრავლადაა. შუამავლის ბრძოლა ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად ქალების თანამონაწილეობითაც ხდებოდა და მათ შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი გააკე-

თეს. უფრო მეტიც, ისინი ბრძოლებშიც კი იღებდნენ მონაწილეობას, მეომარ ძმებს წყალს უზიდავდნენ, საჭმელს უმზადებდნენ, მკურნალობდნენ და ა.შ.

შემდგომ პერიოდშიც ისლამის სწავლების საკითხებში ქალთა როლი ძალიან დიდია. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქალები სხვადასხვა სფეროებშიც და ეს იმ დროს, როცა იმ პერიოდში სხვა რელიგიებში მსგავსი რამის არსებობაც კი წარმოუდგენელი იყო. მაგალითად, ავიღოთ ხელოვნება. დასავლურ სამყაროში უკანასკნელ პერიოდამდე ვერ შეხვდებით ქალს, რომელიც მუსიკას ქმნიდა, მაგრამ ისლამში ეს არის.

შუამავლის შემდეგ ისლამის სწავლებისა და მისი გავრცელებისთვის შუამავლის მეუღლეებს და სხვა ქალბატონებს დიდი წვლილი მიუძღვით. ამ სფეროში ყველაზე დიდი როლი, როგორც ჩანს, ჰზ. აიშეს ერგო. ის ერთ-ერთი მათგანია, ვინც ყველაზე მეტი ჰადისი გადმოგვცა. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, ჰზ. აიშე შორეული კუთხეებიდან მოსულ დაინტერესებულ პირებს ისლამის შესახებ პასუხს სცემდა და ასწავლიდა. ასევე აღსანიშნავია ტალჰას ქალიშვილის, აიშას წვლილი, რომელიც ჰზ. აიშას წერილების დაწერაშ ეხმარებოდა. შეკიტხვის ავტორებს წერილობით პასუ-

ხებს უგზავნიდა და ისლამის სწავლების პირველი წერილობითი ნიმუშები ესენია.

**ჰ.გ: თავდაპირველად ქალის როლის შესახებ ასეთი კარგი მაგალითებია წარმოდგენილი, რა მოხდა შემდეგ და რატომ შეიცვალა ქალის როლი?**

ამის ბევრი მიზეზი არსებობს. მოგეხსენებათ შუამავლის გარდაცვალებიდან 24 წლის შემდეგ ისლამური სამყარო ყველაზე დიდმა არეულობამ მოიცვა. (ხალიფა ოსმანის მკვლელობა). შემდგომში რა მოვლენებიც განვითარდა და რა შედეგიც დადგა, ამას არ ყურანი მოგვიწოდებს და არც შუამავალი. ჩემი აზრით ზოგადი მკაცრი პირობების გამო ქალები იძულებული გახდნენ სახლებში ჩაკეტილიყვნენ, რათა გარემოსგან მომდინარე ამ ტიპის ზიანისგან თავი დაეცვათ. იმ დროიდან მოყოლებული ვხედავთ, რომ ქალები მსგავსი პოლიტიკური აქტიურობისგან თავს იკავებენ. ჯემელის ბრძოლაში ჰზ. აიშას ჩართვა იმით იქნა ახსნილი, რომ ღვთიური ბრძანების ადრესატები მხოლოდ მამაკაცები არ ყოფილან და ის ქალებსაც ეხებოდა, თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ მან ეს ნაბიჯი ინანა და ნეტა არ მიმეღო მონაწილეობაო, თქვა. შესაბამისად,

მის შემდგომ პერიოდშ ქალებმა პოლიტიკური აქტიურობისგან თავი შეიკავეს. ეს გავრცელდა სხვა სფეროებზე, მაგალითად როგორიცაა კულტურა და ინტელექტუალური სფერო.

მოგვიანებით, როდესაც ისლამის სწავლულებმა ისლამის კულტურის წარმოჩინება დაიწყეს, ამ პროცესში ქალების ჩართულობაც ფიქსრიდება. ამგვარი სამეცნიერო კვლევების პროცესში რაიმე სქესობრივი განსხვავებულობის ტენდენცია არ შეინიშნება და ეს ძალიან საყურადღებო მომენტია. ჯერ კიდევ 1071 წელს, ჰათიბი ბაღდადი მექაში ჩადის და იქ ქერიმე ბინთი აჰმედის სახელით ცნობილ ქალბატონს გაიცნობს, რომელიც ჰადისების გადმოცემითაა დაკავებული. ჰათიბი ბაღდადი ამბობს, რომ მან ხუთ დღეზე ბუჰარი წაიკითხა. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, ჰადისების ცოდნითა და კვლევებში ჩაბმით კაცებთან ერთად ქალებიც გამოირჩეოდნენ.

**ა.ბ: გამომდინარე აქედან, საზოგადოებრივ და მსოფლიო პროგრესთან დაკავშრებულ აქტივობებში თავიანთი ცოდნით, გონებითა და კდემამოსილებით ჩაბმული ქალები როგორ მოხდა, რომ ამ ყველაფერს**

**ჩამოშორდნენ და მათი პასიური მდგომარეობის შენარჩუნება, როგორც პრევენციული ღონისძიება, გამოსავლად იქნა მიჩნეული?**

ისევ თავიდან თუ დავიწყებთ, შუამავლის პერიოდში მორწმუნე ქალბატონები საზოგადოებისთვის ღია თათბირებს ესწრებოდდნენ და ასევე პარასკევის ლოცვებზე წარმოთქმულ ქადაგებებსაც ისმენდნენ. ცნობილია, რომ ზოგიერთმა მათგანმა განსაკუთრებით გრძელი სურები შუამავლისგან მოსმენით ისწავლა. როგორც სარწმუნო წყაროებში ვკითხულობთ, პირველი მუჰაჯირებიდან ერთ-ერთმა ქალბატონმა, შიფა ჰათუნმა შუამავლის მეუღლეს, ომარის ქალიშვილს ჰაფსას წერა-კითხვა ასწავლა, ეს და მსგავსი მაგალითები იმდროინდელ დადებით ტენდენციაზე მეტყველებს.

გარდა ამისა, ისეთი რამეებიც ხდება, რომ გარემო პირობები ქალებისთვის საფრთხის შემცველია. ისლამს კი სურს, რომ ქალების უსაფრთხოება დაიცვას. ამ მოტივით, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ქალების პასიურ მდგომარეობაში დატოვება და მათთვის წერა-კითხვის სწავლის შეზღუდვა გადაწყვიტეს. უფრო მეტიც, მათ მოიგონეს ჰადისი, რომელიც ამ დამოკიდებულებას ამყარებდა. ჰაქიმი ამ ყველაფერს შემდეგნაირად განმარტავს: „თუ წერას ასწავლი შეიძლება სხვას მი-

წეროს და იქიდან რაიმე ზიანი მოუვიდეს. ღია ადგილებში თუ დაჯდება თვალით მიანიშნებს“. მოდით, ერთად ვიფოქროთ: ვის აქვს შიში? - მამაკაცს. გარდა ამისა, მამაკაციდან ეშინია. მას სურს, რომ მამაკაცებისგან დაიცვას ქალიშვილი და მისი სახლში ჩაკეტვა სურს. ეს კი ძალიან მანკიერი აზროვნებაა. ეს გამოსავალი არ არის. თუ ჩვენ გვინდა ქალები უსაფრთხოდ გვყავდეს, მაშინ ისინი უფრო განვითარებულები და კულტურულები უნდა გავხადოთ. ის, განვითარების წყალობით უკეთ შეძლებს თავის დაცვას.

**ა. ბ: შუამავლის დამოკიდებულება ქალთა მიმართ პროგრესული იყო. ჩვენ ეს ყველაფერი შესაბამისად გავითვალისწინეთო, ვერ ვიტყვით, ხომ?**

შუამავლის მიზანი ქალთა შეზღუდვა არ ყოფილა. შუამავლის პერიოდში იყვნენ საჰაბე ქალბატონები, რომლებსაც შუამავალი ოჯახში სტუმრობდა. შუამავალი მთელი ძალით ცდილობდა იდეალური საზოგადოება ჩამოეყალიბებინა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ ეს ვერ გავამართლეთ. თუ ჩვენ ყველა ინფორმაციას, ყველა წყაროს და შემდგომში დაწერილ სახელმძღვანელეობს საფუძვლიან ანალიზს გავუკე-

თებთ, ჭეშმარიტებას და სიცრუეს მკაცრად გავმიჯნავთ, მაშინ ისლამური საზოგადოება, ქალიც და კაციც, ყველანი ერთად ფეხზე წამოდგომას შევძლებთ.

შუამავალს ისლამის ქადაგება მხოლოდ მამაკაცების საქმედ რომ ჩაეთვალა, მაშინ აქაბეს შეფიცვის დროს ქალების დასწრებას არ დაუშვებდა. ისლამის ცნობილ მუჯაჰიდებს შორის ქალებიც გვხვდებიან. ისლამისთვის პირველი შაჰიდი, რომელიც მექელმა ურჯულოებმა მოკლეს, ქალია. ჰიჯრის დროს იძლებით გადასახლებულ ქალებს გადასახლების რეალურ მიზანს არ ეკითხებოდნენ, მაგრამ მამაკაცებზე ეს შეკითხვა დაუსვამთ, რადგან შესაძლებელი იყო ზოგი მამაკაცი სხვა მიზნით, რაიმე სარგებლის მიზნით აპირებდა გადასახლებას. გარდა ამისა, არსებობდა შეთანხმება, რომლის მიხედვით გაქცეული მამაკაცები უკან უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ ქალებს არ აბრუნებდნენ.

დღეს მსოფლიო იძულებულია კულტურა, მორალი და ნამუსი უალტენატივო პრიორიტეტებად აქციოს. თუმცა, სამწუხაროდ ჩვენ ვხედავთ, რომ ირგვლივ ისევ ძალადობა და უსამართლობა მძვინვარებს. ამ უსამართლობის შესაჩერებლად გამოსავალი ერთია, იდეალური ოჯახური საზოგადოება. თუ ქალი არ არის განათ-

ლებული და კულტურას ნაზიარები, საზოგადოება ვერასოდეს იქნება იდეალური, რადგან ქალი ოჯახის ფუძეა. შუამავალი ქალთა როლს ყოველთვის მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ მათთვის ცალკე გაკვეთილების ჩატარებისთვის დრო გამოყო. მაშინ ქალბატონებმა შუამავალს მიმართეს თხოვნით, ჩვენ შეკითხვების დასასმელად ხელსაყრელი დრო გვჭირდებაო და შუამავალმაც ცალკე დრო გამოუყო მათ. ქალების სწავლა და განვითარება რომ საჭიროდ არ მიეჩნია, განა ამდენ ყურადღებას დაუთმობდა?

ასევე იქცეოდნენ პირველი ოთხი დიდი ხალიფაც. ხალიფა ომარი ქუჩაშიც კი ისმენდა ქალბატონების აზრს და ითვალისწინებდა.

**ა. ბ: გარდა ამისა, ზოგიერთის აზრით მამაკაცი უპირატესია, ვიდრე ქალი და შესაბამისი განმარტებებიც მოაქვთ.**

რაც შეეხება „ქავვამ“-ს, ეს სიტყვა უპირატესობას, მაღლა დგომას არ გამოხატავს. ეს არ ნიშნავს, რომ ქალი აუცილებლად კაცის ხელქვეითია. ამ ტიპის საკითხების გასაანალიზებლად ყურანისა და სუნას მთლიანობაში განხილვაა საჭირო.

დღევანდელი მდგომარეობა რომ ავიღოთ, დღეს არსებობენ დამსაქმებელი ქალბატონები, რომელბიც ხუთას ან ათას კაცს ამუშავებენ. ეს ასეთი რეალობაა. საკმაოდ ბევრი ფირმის სათავეში სწორედ რომ ქალბატონები არიან და მართავენ. კარგი. ავიღოთ ერთ-ერთი ასეთი ფირმა. იქ მომუშავე მამაკაცებმა ეგ სიტყვა როგორ უნდა გაიგონ? ამ აიათში მოცემული სიტყვიდან ისეთი აზრის გამოტანა, რომ თითქოს მამაკაცი ქალზე უპირატესია, სწორი არ იქნება.

**ჰ.გ: წიგნებში რაც დაწერილა ყველაფრის უკონტროლოდ დღევანდელობამდე გადმოტანა პრობლემებს ქმნის.**

სამწუხაროდ იმ წიგნებს ვინც კითხულობს ჰგონია, რომ ჭეშმარიტება ასეა. ასეთ წიგნებში ისეთ რამეებს შეხვდებით, რომ ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვთ. მაგალითად, ზოგი ამტკიცებს, რომ მუსიკა არამია და უფრო მეტიც, მუსკალური ინსტრუმენტების დამტვრევა მადლია. კი მაგრამ, ასეთებმა თუ გამოიკვლიეს შუამავლის პერიოდის ხელოვნებისა და მუსიკის მდგომარეობა? ჩემი რჩევა იქნება წაკითხული ინფორმაცია გადაამოწმოთ.

1400 წელია ეს მემკვიდრეობა, ისლამური კულტურა მოგვდევს. ამდენი ხნის განმავლობაში რამდენი რამაა სანდო და ჭეშმარიტი და რამდენი შეცვლილი, ეს უნდა დავადგინოთ. ამ ყველაფრის ანალიზი, გადამოწმება და დადგენა ჩვენი ვალია. ასე გადამოწმების გარეშე, ყველაფრის ჭეშმარიტებად მიჩნევა და გადაწყვეტილებების მირება ადამიანს გზიდან ააცდენს და უბედურებას შეჰყრის. გარდა ამისა, ცოდნის შესაბამისად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ჰათიბი ბაღდადის წიგნია ერთი, სადაც ძალიან საინტერესო რამ ამოვიკითხე. ვინც ცოდნას იძენს და ცოდნის შესაბამისად არ ცხოვრობს ანთებულ სანთელს ჰგავს, ირგვლივ ანათებს, მაგრამ თავად ნადგურდებაო.

**ა.ბ: მიუხედავად იმისა, რომ შუამავლის მიერ მოტანილი რწმენა სხვას გვეუბნება, მუსლიმებს შორის მაინც არის ქალებისა და გოგონების დაჩაგვრის ტენდენცია. არსებობს ძალადობის ფაქტებიც.**

ამ ყველაფრის განმარტებისათვის, უპირველეს ყოვლისა ისლამი და მუსლიმები ცალკ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

მუსლიმი ისლამს არ ნიშნავს. არც ისლამი ნიშნავს დღევანდელ მუსლიმებს.

მუსლიმი ისლამს წარმოადგენს, მაგრამ ეს დამოკიდებულია პიროვნების გონებაზე, გაგების პოტენციალსა და ნებაზე. მოძალადე მშობელს რომ კარგად სცოდნოდა შუამავალი და ისლამი ასე არ მოიქცეოდა. გამოდის, რომ მოძალადე მშობლის ისლამთან კავშირი ნაკლოვანია.

ამ კონკრეტული ადამიანის მორწმუნეობა, მორწმუნეობის გაგება ასეთია. ყოველი ადამიანის ღვთის წინაშე მორწმუნოების დონე ცოდნით, მორალით, გარემოთი და კულტურით ყალიბდება. ესენი ერთიმეორესთან მჭიდროდაა კავშირში. თუ ჩვენ შუამავალს კარგად შევისწავლით და შევასწავლით საზოგადოებაში სარწმუნოების ჯანსაღ აღქმას დავნერგავთ. რასაც ყურანი გვიბრძანებს, ისეთი მიმდევრები ვართ? შუამავალი ჩვენგან სწორედ ამას ელოდა, რომ ვყოფილიყავით ყურანის ნათელით გასხივოსნებული უმმეთი. მაგრამ დღეს რა მდგომარეობაში ვართ? უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა გამოვასოწოროთ.

# ქალი, ღვთიური გზავნილის მოვლინების პროცესში

პროფ. ფაჰრი კაიადიბი

ისლამამდელ პერიოდში ქალის შესახებ ინფორმაცია ცხადყოფს, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშ იყო ქალი დაფასებული, უმეტესწილად კი მას ამცირებდნენ, ძალადობდნენ და ა შ.იმ პერიოდში ქალს ოჯახშიც კი არ ჰქონდა სიტყვის თქმის უფლება და ამათანავე სექსუალური შევიწროების მსხვერპლი იყო. ქალიშვილის დაბადება, საზოგადოებაში სირცხვილად ითვლებოდა. ამის გამო ახალდაბადებული გოგონების ცოცხლად დამარხვაც ფართოდ გავრცელებული ადათი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში წერია:

„და როცა რომელიმე მათგანს ქალიშვილს ახარებენ, დაეფარება სახე შავად, სიბრაზის გამო.

ემალება ხალხს უხეირო ცნობის გამო. დაიტოვოს სირცხვილად შვილი თუ მიწა-

ში ჩამარხოს? ერთი შეხედე, რა საზიზღარია მათი განაჩენი!“ (ნაჰლ 58-59)

რაც შეეხება ზეციურ რელიგიებს, მათ შორის ქალთა კულტურულ განვითარებაზე, პირველმა, ისლამმა დაიწყო ზრუნვა. ღვთიურ ბრძანებაზე „წაიკითხე“ პირველმა ჰატიჯამ უპასუხა- „დიახ“. ამაზე თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, თუ რაოდენ საფუძვლიანი რევოლუცია მოახდინა ისლამმა ქალთა განათლების საკითხში. შედარებისთვის, ებრაელთა რწმენით ქალების გაჩენის საკითხი ეჭვის ქვეშ იდგა, ხოლო ქრისტიანული რწმენით ქალი მამაკაცისთვის შექმნილი არსებაა. ამ დროს შუამავალი ამბობდა: „სამოთხე დედის ფერხთითაა“. აქ ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ მნიშნელობას ანიჭებს ისლამი ქალთა უფლებებს. ხალიფა ომარი იხსენებს: „უმეცრების ხანაში ქალებს ადამიანებად არ ვთვლიდით“-ო. შემდეგ კი სწორედ ისლამი გახდა ის ძალა, რომელმაც ქალთა როლი იმდენად გაზარდა, რომ ისინი განათლებისა და მმართველობის სფეროებში იყვნენ ჩართული.

ყურანში მითითებულია, რომ მხოლოდ ღმერთი წყვეტს გოგო დაიბადება თუ ბიჭი: „ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის. აჩენს, ინებებს რასაც; სჩუქნის ასუ-

ლებს, ინებებს ვისაც  და სჩუქნის ძეებს, ინებებს ვისაც;

ან ადგენს მათ წყვილებად, მამრებად და მდედრებად. ხოლო ადგენს უნაყოფოდ, ინებებს ვისაც. უეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა!“ (შურა 49-50)

ყურანში 750 აიათში ცოდნისკენ მოწოდებაა და აქედან არცერთში არ იგრძნობა სქესობრივი ნიშნით რაიმე განსხვავება. ყოველი მიმართვა თანაბრად ეხებათ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. შუამავალიც ხომ მთელი კაცობრიობისთვის მოვლენილი შუამავალია და არა მხოლოდ მამაკაცების, ან რომელიმე კონკრეტული ჯგუფის. წმინდა წიგნისა და შუამავლის მიზანი ყოველგვარი სქესობრივი განსხვავების გარეშე, ადამიანებში ყოველგვარი უმეცრების აღმოფხვრა და ყოველი ადამიანის სააქაო და საიქიო ბედნიერების უზრუნველყოფაა.

შუამავალი ქებით იხსენიებს იმ ქალებს, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მათ შორის არიან ფარაონის ცოლი ასიე, იესოს მშობელი მარიამი, შუამავლის მეუღლე ჰატიჯე და შვილი ფატიმა.

შუამავალი მუდმივად ცოდნის მიღებისკენ მოგვიწოდებს: „განათლება ყოვე-

ლი მუსლიმისთვის ფარზია (სავალდებულოა)“. (ელ ფეთჰულ ქებირ, 2/213)

„ისწავლეთ აკვნიდან საფლავამდე“ (ელ ფეთჰულ ქებირ, 1/193)

პირველი მუსლიმები, ქალიც და კაციც ამ მოწოდებას ითვალისწინებდნენ და სრულად ჩაებნენ ისლამის გავრცელების საქმეში. რაც შეეხებათ ქალებს, ისინი მთელი თავიანთი შესაძლებლობებით შესაფერის სფეროებში მოღვაწეობდნენ. მარტო ჰადისის გადმოცემისა და ისლამის სამართლის სფეროში 90 ქალი მოღვაწეობდა.

628 წელს განხორციელებული შეფიცვის დროს მედინელებს ერთ-ერთი ქალბატონი, უმმუ ჰიშამიც ახლდათ. ასევე ცნობილია, რომ უმმუ ჰიშამი შუამავლის პარასკევის ლოცვებზე ქადაგებებს ესწრებოდა და „ყაფ“-ის სურა შუამავალზე მოსმენით ზეპირად ისწავლა. (მუსლიმ 7, ჯუმა 13)

ჯამაათის სწავლა-აღზრდის საკითხში შუამავალთან ერთად მისი მეგობრებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული. როდესაც ქალთა პრობლემების შესახებ შეკითხვა დაისმოდა,მუაზ იბნ ჯებელი ამომწურავ პასუხს სცემდა და ბოლოს დასძენდა: „შუამავალმა ასე გვასწავლა და გვიბრძანა ჩვენს ქალებს ვასწავლოთ“-ო.

ღვთიური გზავნილი მოვლინების პერიოდში მუსლიმი ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულები და შესაბამისად ისლამის სწავლებასა და გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვით. შიფა უმმულ მუმინი მექელი ყურეიში ქალბატონი იყო. მან ადრიდანვე ისლამი აღიარა და სხვა მუსლიმებთან ერთად მედინაში გადასახლდა. სწორედ მან ასწავლა წერა-კითხვა შუამავლის ქალიშვილს ჰაფსას. შიფა უმმულ მუმინი ხალიფა ომართან მეგობრობდა და ხალიფას დავალებით სახელმწიფო სამსახურშიც მუშაობდა.

ისლამის სწავლულებიც რელიგიური დოქტრინის განხილვისას ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებას არ აფიქსირებდნენ. ანდალუზიელი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და სწავლული ჰაზმი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ შეხედულებას შემდეგნაირად განმარტავს:

„შუამავალი ყველას თანაბრად მოევლინა,მამაკაცებსა და ქალებსაც. ის ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბრად მიმართავდა. ამ მხრივ ქალებისგან დაფარული და მხოლოდ კაცებისთვის ცნობილი რაიმე განსხვავება არ არსებობს. ცოდნის მიღება, რელიგიის გავრცელება ქალებსაც და კაცებსაც ერთნაირად ევალებათ“.

როდესაც შუამავალს პირველი გზავნილი მოველინა, მისმა მეუღლემ, ჰატიჯემ დაუჯერა და მხარი დაუჭირა. პირველი მუსლიმიც, სწორედ რომ ჰზ. ჰატიჯე გახდა. ღვთიური გზავნილის მოვლინებისა და გავრცელების პროცესში შუამავალს ყოველთვის მეუღლეები ედგნენ გვერდში და ეხმარებოდნენ.

სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში ქალების აქტიურობამ და ჩართულობამ იკლო. ხალიფა ოსმანის მკვლელობის შემდეგ ისლამური სამყარო პოლიტიკური რყევების ტალღამ მოიცვა. სარწმუნოების სახელით ჩაიდინეს ბევრი რამ, რასაც სარწმუნოება კატეგორიულად კრძალავდა. ისლამურ სამყაროში გავრცელებულმა შიდააშლილობამ ისეთი მოვლენები გამოიწვია, რაც ისლამისთვის შეუფერებელი იყო. მეორეს მხრივ ქალთა ჩართულობა და აქტიურობა შეფერხდა და განვითარება ვეღარ ჰპოვა.

ჩვენ გვინდა, რომ შუამავლის მოღვაწეობის პერიოდში დაწყებული საქმე, რომელიც ქალების განათლებასა და მეტ სამოქალაქო აქტიურობას გულისხმობს ისევ განახდეს და ახალი გასაქანი მიეცეს.

# ქალი, ღვთიური ხათელი თუ...

ჰატიჯე ქ. არფაგუშ

ქალი და მამაკაცი ერთმანეთისგან განსხვავებული ფიზიონომიით არიან გაჩენილნი. ეს განსხვავება მხოლოდ ფიზიკური არ გახლავთ და ისინი მგრძნობელობითა და შინააგანი ბუნებითაც განსხვავდებიან და როგორც სოციოლოგიური არსებები, საზოგადოებრივი და პიროვნული თვალსაზრისით ორ სქესად იყოფიან. გარდა ამისა, ეს ორი განსხვავებული სქესის წარმომადგენლები ერთიმეორის გაგებასა და შეფასებისას მრავალ პრობლემას აწყდებიან. მაგალითად, ამ ორი სქესის აღწერისას ყველაზე ცნობილი მეტაფორული ფრაზა „ერთი ვაშლის განაჭარია“. ეს რომ ასე იყოს წარმოიშობა აუცილებლობა, რომ ეს ორი ნაჭერი ერთად იყოს. ბუნებრივია ადამიანი თავად არ ირჩევს ქალი იქნება თუ მამაკაცი. ეს ორი სქესი ერთის მხრივ ძალიან ახლოა ერთმანეთთან და მეორეს მხრივ ძალიან განსხვავდება. ერთი შეხედვით თითქოს მართლა ერთი ვაშლიის ნაჭ-

რები არიან, მაგრამ მეორეს მხრივ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული არსებები არიან.

მართალია ქალი და მამაკაცი ერთ საცხოვრებელ სივრცეს ინაწილებენ, მაგრამ ხშირად ისინი ერთმანეთს ვერ უგებენ. ზოგადად მიიჩნევა, რომ ქალი მაცდუნებელია და ამის საფუძვლად ევას მიერ ადამის ცდუნების მოვლენა მიიჩნევა. ეს მოვლენა გინდ სერიოზულად აღიქმებოდეს გინდ არა, მაინც ქმნის დამოკიდებულებას, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ხაზად გასდევს.

ჩვენ ეს ყველაფერი გაგვიგია და შეიძლება ისიც კი გვჯეროდეს, რომ რელიგიური ჭეშმარიტებაა, რადგან ეს ამბავი უკვე საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემა.

გამომდინარე აქედან, საკითხის შესწავლა ევას ტრადიციული იმიჯის განხილვით უნდა დავიწყოთ. ამ მიზნით თვალი უნდა გადავავლოთ ისლამის რელიგიურ ლიტერატურას, რომელიც რელიგიურ სახელმძღვანელო წყაროს წარმოადგენს. ოსმალთა დროიდან დღევანდელობამდე ყველაზე პოპულარულ სახელმძღვანელოებში აღნიშნული საკითხი შემდეგნაირადაა განხილული, რომელსაც მოკლედ შემოგთავაზებთ.

ღმერთი სამოთხეში მარტო მცხოვრებ ადამს დააძინებს და მარცხენა ნეკნისგან ევას გაუჩენს. ევას სამოთხის ტანისამოსი აცვია და ადამის წინაშე ზის. როდესაც ადამი გამოიღვიძებს და ევას დაინახავს ანგელოზები მას შეეკითხებიან თუ ვინ იყო ის. ადამი პასუხობს, რომ ის იყო „ევა“. ევა ადამის მეუღლედ იყო გაჩენილი და ისინი სამოთხეში ცხოვრობდნენ. ეს ამბავი გაიგო ეშმაკმა, რომელსაც მათი შეშურდა. მან მოიფიქრა გეგმა, რომლის მიხედვითაც ადამი სამოთხიდან უნდა გაეძევებინა. ეშმაკი გველის ფორმაში გარდაისახა, სამოთხის კართან მივიდა და ტირილი დაიწყო. ადამმა და ევამ ვერ იცნეს ეშმაკი და ტირილის მიზეზი ჰკითხეს. თუ თქვენ უკვდავების ხის ნაყოფს არ შეჭამთ ერთიმეორეს დაშორდებით და მოგენატრებათ, ამიტომ ვტირიო, უთხრა ეშმაკმა. ევა დაიჯერებს ეშმაკის სიცრუეს, წავა და აკრძალული ხის ნაყოფს მოუტანს ადამს. ადამი ეტყვის, ეს ხილი აკრძალულია და არ უნდა შევჭამოთო, მაგრამ ევა უარზეა და ხილის ჭამას დაჟინებული მოითხოვს. ჯერ ევა შეჭამს და შემდეგ ადამიც. აკრძალული ხილის ჭამისთანავე ადამს სიშიშვლის შერცხვება, გაიქცევა და ლეღვის ფოთლებს აიფარებს. ღმერთი ჰკითხავს ადამს, თუ რატომ ჭამა აკრძალული ხის ნაყოფი. ადამი ევასკენ გაიშვერს ხელს, ამან მაცდუნაო, ევა გველისკენ, გველი კი

ეშმაკისკენ. ღმერთი ყველა მათგანს ჩადენილის მიხედვით დასჯის. ევას სასჯელი ორსულობას, მშობიარობის ტკივილებს, ქმრისადმი მორჩილებას, მამაკაცთან შედარებით მემკვიდრეობის სიმცირეს და სხვა მსგავს რამეებს მოიცავს.

მოკლედ ამ მოვლენის შესახებ მოცემული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ამგვარია და ერთიმეორეს ჰგავს. მოდით ახლა ყურანის განმარტებებს ჩავხედოთ, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეეხება:

„ჰეი, ადამიანნო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან , და გააჩინა მისგან მეწყვილე (მეუღლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. უეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენი!“ (ნისა 1)

„იგია რომელმაც, გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან და გააჩინა მისგან მეწყვილე მისი, რათა სიმშვიდე მოეპოვებინა მასთან. როცა დაეუფლა მას , ქალმა მცირე ტვირთი იტვირთა და ცოტა ხანს დადიოდა იმით, ხოლო როცა დამძიმდა , ისინი შეევედრენ ალლაჰს, თავიანთ ღმერთს: თუ ჩვენ კეთილშობილ (შვილს) გვიბოძებ,

უთუოდ, მადლიერნი ვიქნებით ჩვენ.“ (არაფ 189)

„გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან. შემდეგ დაადგინა მისგან მეწყვილე მისი და მოავლინა თქვენთვის საქონლიდან რვა წყვილი. გაჩენთ თქვენი დედების მუცლებში ქმნილებად: გაჩენისა შემდგომ სამ წყვდიადში . სწორედ ესაა ალლაჰი, ღმერთი თქვენი. მხოლოდ მას ეკუთვნის მეუფება. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. მაშ, როგორღა შეიქცევით!“ (ზუმერ 6)

როგორც აიათებშია ნაბრძანები ადამიც და ევაც ერთი სულისგან არიან გაჩენილნი. რაც შეეხება აკრძალული ხის ნაყოფს, ეშმაკმა წყვილს უკვდავების ხედ გააცნო. ამის შესახებ ყურანში წერია:

„ჩვენ ვუთხარით: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური ნაყოფი ჭამეთ (თქვენ ორმა) რამდენიც გენებოთ და სადაც გენებოთ, მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ , რომ არ გახდეთ უსამართლონი (თორემ ცოდვილნი გახდებით).

ეშმაკმა ფეხი დააცდენინა (ორივეს) და გამოყარა იქიდან , სადაც იყვნენ. და ჩვენ ვუბრძანეთ: დაეშვით (დედამიწაზე), მტრებად მოქცეულნი ერთმანეთისთვის! თქვენი ადგილი მიწაზეა, დროებითი საცხოვრებლით და სარჩო-საბადებელით.“ (ბაყარა 35-36)

ყურანში მოთხრობილი არ არის თუ როგორ შევიდა ეშმაკი სამოთხეში და როგორ მოატყუა ისინი, თუმცა მითითებულია, რომ მოატყუა ორივე მათგანი და არა მხოლოდ ევა. ანუ, გამოდის რომ ცნობილი დეტალი, რომლის მიხედვით ეშმაკმა ჯერ ევა აცდუნა და შემდეგ ევამ ადამი დაარწმუნა აკრძალული ხილი ეჭამა, ყურანში მოცემული არ არის. (იხ. ბაყარა 36, არაფ 19, 22, ტაჰა 121)

რაც შეეხება მათ დასჯას, ყურანში მოთხრობილია, რომ ღმერთმა ადამი, ევაც და ეშმაკიც დედამიწაზე დასცა. (ბაყარა 36)

ამ მცირე განმარტებების შემდეგ ნათლად ჩანს, რომ ის დეტალები, რაც ყურანში არ არის მოცემული შევსებულია გადმოცემებითა და ლეგენდებით და ამ გზით რელიგიური ცოდნის მითოლოგიურ გადმოცემებში შერევა ხდება. გამომდინარე აქედან, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ისლამის ძირითადი წყაროს, ყურანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მითოლოგიური ამბავი. შესაბამისად იმის მტკიცება, რომ ქალი ოდითგანვე მაცდური იყო, მან მოატყუა ადამი და სხვა, რელიგიურად სწორი ვერ იქნება. მითუმეტეს, ამ ტიპის დეტალების რელიგიაზე მიკერება და ისლამისეულად გამოცხადება მიუღებელია.

ყურანში ადამიანის სისუსტეებზეა საუბარი და ამ დროს სქესობრივი განსხვავება საერთოდ არ არის ნახსენები. მაგალითად, ყურანში ნაბრძანებია, რომ ადამიანი უმადურია. ასევე საუბარია ადამიანის სისუსტესა და უმწეობაზე. ასევე ადამიანი დახასიათებულია როგორც სულსწრაფი არსება და სხვ. (იხ. ადიათ 6,7; ნისა 11; ნისა 28)

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ქალთა სქესზე მაცდურის იარლიკის მიკერება და ამის სარწმუნოებრივი წყაროებით გამყარება არამარტო ქალთა სქესის , არამედ ზოგადად ადამიანის მიმართ უდიდესი უსამართლობაა. გარდა ამისა, გაიგებარია ქალის უარყოფით კონტექსტში მოხსენიება, როცა ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები; დედები, დები, მეუღლეები, ქალიშვილები და სხვა, ქალები არიან. ქალი რომ მაცდური და არასანდო ყოფილიყო შუამავალი პირველი ღვთიური გზავნილის გამოცხადებას მეუღლეს, ჰატიჯას ეტყოდა? განა პირველმა ჰატიჯამ არ დაიჯერა?

# ქალი ყურანში, როგორც თავისუფალი და პასუხისმგებლობის მატარებელი ორსება

ჰაფსა ფიდან

ყურანის მიხედვით ადამიანი დედამიწაზე ყველაზე თავისუფალი და მნიშვნელოვანი არსებაა. ის პასუხისმგებელია თავის ქმედებებზე.

ყურანის აიათების ანალიზისას ცხადად ჩანს, რომ ადამიანი რწმენის საკითხშიც თავისუფალია. ბაყარას სურას 256-ე აიათში ნაბრძანებია, რომ სარწმუნოებაში ძალდატანება არ არის. შესაბამისად ადამიანები, ქალიც და კაციც რწმენის არჩევისას თავისუფლები არიან. ამასთანავე, ყურანი იმ ადამიანებს, ვინც ისლამი აირჩია გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, რათა ისინი ამქვეყნიურ და საიქიო ბედნიერებას ეზიარონ.

„ვინც სიკეთე ჰქმნა კაცთაგან თუ ქალთაგან და იგი მორწმუნეა, მაშინ, უთუოდ, მას ტკბილი ცხოვრებით ვაცხოვრებთ და უთუოდ მივაგებთ მათ თავიანთ საზღაურს უფრო უკეთესით, რაც უკეთებიათ!“ (ნაჰლ 97)

„მათმა ღმერთმა ისმინა მათი ვედრებანი: „უეჭველად, მე არ დავუკარგავ ნაღვაწს, ვინც იღვაწა თქვენგან, კაცსა თუ ქალს, ერთმანეთისაგან ხართ თქვენ . ხოლო ისინი, რომელნიც გადაიხვეწნენ და განიდევნენ თავიანთი სახლებიდან და იყვნენ წამებულნი ჩემს გზაზე, იბრძოდნენ და იხოცებოდნენ, უთუოდ, დავფარავ (ვაპატიებ) ავ საქმეებს მათსას და უთუოდ, სამოთხეებში შევიყვან, სადაც ძირს მდინარეები მოედინება ჯილდოდ ალლაჰისგან, და საუკეთესო ჯილდო ალლაჰთანაა.“ (ალი იმრან 195)

„ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი

და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!“
(ბაყარა 286)

ღვთის წინაშე სხვა ნიშნით არავინაა უპირატესი, გარდა ღვთისმოშიშობისა. ჰუჯურათის სურას 13-ე აიათში ღმერთი ბრძანებს:

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!

ასევე, მუსლიმ ქალთა და კაცთა შორის ურთიერთობა განხილულია თევბეს სურას 71-ე აიათში. მათ შორის მეგობრობა, თანადგომა, პატივისცემა და ძმობა უნდა იყოს.

„მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!“

ყურანში, მორწმუნე ქალები და კაცები რწმენის, მორალის, ღვთისმსახურებისა და ასევე სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებშიც გვერდიგვერდ არიან ნახსენები. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალებიც მამკაცებთან ერთად პასუხისმგებლობას იზიარებენ და აღნიშნულ სფეროებში შეუძლიათ ჩაერთონ.

„უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“ (აჰზაბ 35)

ყურანის მოვლინების პერიოდში ქალების სტატუსისა და მდგომარეობის შესახებ ბევრი რამ მათსავე სასარგებლოდ შეიცვალა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება იყო საკუთრების უფლება და ზოგადად, ქალის სტატუსი საზოგადოებაში. მაგალითად, ნისას სურას მე-19 აიათში საუბარია დებულებაზე, რომლის მიხედვითაც დაქვ-

რივებული ქალის უფლებები დაცულია და უმეცრების ხანის გადმონაშთი უზნეო ტრადიციები აიკრძალა.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნებადართული არა გაქვთ, ძალით აიღოთ მემკვიდრეობაში ქალები . ან შეავიწროოთ იმისათვის, რომ წაართვათ, რაც მიგიციათ მათთვის, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. მოეპყარით მათ ღირსეულად. თუ თქვენ ისინი გძულთ, იქნებ გძულდეთ რამე, ალლაჰს კი დიდი სიკეთე ჩაედოს მასში!“ (ნისა 19)

თეფსირის ლიტერატურიდან ვიცით, რომ უმეცრების ხანაში თუ ვინმე მამაკაცი გარდაიცვლებოდა და ქვრივი დარჩებოდა, მის ახლო ნათესავს შეეძლო ცოლად შეერთო. მას არათუ „მეჰირ“-ს გარეშე შეეძლო ნათესავის ქვრივის ცოლად შერთვა, არამედ შეეძლო სხვაზე გაეყოლებინა და „მეჰირ“-ს თანხა თავად აეღო. ასევე იყო მესამე ვარიანტიც, ნათესავი გარდაცვლილი ნათესავის მემკვიდრეობის მითვისების მიზნით ქვრივს სახლიდან წასვლის უფლებას არ მისცემდა და ასე შიდაპატიმრობაში ამყოფებდა. სწორედ ასეთი მანკიერი ადათები აიკრძალა ღვთიური ბრძანებით.

ასევე აღსანიშნავია მოვლენა, როდესაც შუამავალთან კონკრეტული პრეტენზიით

ერთ-ერთი ქალბატონი მივიდა და შუამავალს შეეკამათა, რადგან მიაჩნდა, რომ მართალი იყო. სწორედ ამ ქალის მცდელობის თაობაზე მოვლენილ იქნა აიათი, რომელის შემდეგი შინაარსიათაა გადმოცემული:

„უკვე ისმინა ალლაჰმა სიტყვა იმისა , რომელიც აბეზღებს შენთან თავისი მეუღლეს და შესჩივის ალლაჰს, რამეთუ ალლაჰი ისმენს თქვენს საუბარს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!

თქვენგან, რომელნიც ზურგს იქცევენ თავიანთი ცოლებისგან, არ არიან ისინი (მათი ცოლები) მათი დედები, რადგან მათი დედები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც შობეს ისინი. და უეჭველად, ამის მთქმელები საძრახ სიტყვას და სიცრუეს ამბობენ. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!“ (მუჯადილე 1, 2)

აღნიშნული მოვლენის განმარტება მოთხრობილია თეფსირის წყაროებში. უმეცრების ხანაში იყო ადათი, რომლის მიხედვითაც თუ ქმარი ცოლს ეტყოდა, რომ ის „დედამისის ზურგის მსგავსი იყო“, მათ შორის ცოლქმრული ურთიერთობა აღარ გაგრძელდებოდა და ცოლი არც გაშორებული იყო და აღარც ცოლი ეთქმოდა. შუამავლის მეგობართაგან ევს იბნ სამითი ცოლს გაუბრაზდა და ეს ფრაზა უთხრა, რამაც მისი მეუღლე ჰავლე ძალიან გა-

ანაწყენა. ჰავლემ შუამავალთან იჩივლა. ჰავლე ამბობდა, რომ სანამ ახალგაზრდა იყო ქმარს ემსახურებოდა, შვილები გაუჩინა, მაგრამ როდესაც ასაკში შევიდა ქმარმა გაშორება გადაწყვიტა და ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ჰავლე სამართლიან გადაწყვეტილებას და რელიგიური დებულებას ითხოვდა. შუამავალმა უთხრა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ღვთიური გზავნილი არ იყო მოსული, ხოლო ტრადიციის მიხედვით გაშორება ლეგიტიმური იყო. ჰავლემ ორჯერ გაიმეორა საჩივარი და როდესაც იგივე პასუხი მიიღო, განაცხადა, რომ აწი ღმერთთან იჩივლებდა. სწორედ ამის თაობაზე მოვლენილ იქნა კონკრეტული აიათები, სადაც ნაბრძანებია, რომ ღმერთმა მომჩივანი ქალის საჩივარი ისმინა. შესაბამისად ჰავლე გამართლდა და კონკრეტული ადათი აიკრძალა.

აქ კონკრეტული პიროვნების მამართ ცადენილი უსამართლობის გაპროტესტებამ მთლიანად ადათის აკრძალვა გამოიწვია, რაც ძალიან დადებითი მოვლენა იყო, რადგან მსგავსი პრობლემები სხვებს აღარ შეექმნებოდათ. ამ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღვთიური გზავნილის მოვლინების პროცესში ქალებს ყურადღება ექცეოდათ და მათი მდგომარეობა და უფლებები გათვალსიწინებული იყო.

# ქალთა სახელები ყურანში

მეჰმედ უნალ

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ქალი ყოფილა, რომლებმაც თავიანთი კვალი დატოვეს. ქალი, დედა, ადამიანი ყოველთვის მნიშვნელოვანი ფიქგურა იყო. რამდენი მოვლენა ახსოვს კაცობრიობას, სადაც ქალთა როლი მართლაც რომ სამაგალითოა. ჩვენს წმინდა წიგნში, ყურანშიც რამოდენიმე პიროვნებაზეა ყურადღება გამახვილებული.

## ჰაჯერი- სიმბოლო სრულად მინდობისა

როგორც ცნობილია ჰაჯერი შუამავალ იბრაჰიმის მსახური იყო. იბრაჰიმს სარასგან შვილი არ უჩნდებოდა და სარასვე რჩევით ჰაჯერი ცოლად შეირთო. ჰაჯერს ეყოლა ვაჟი, ისმაილი. თუმცა ამის შემდეგ სარას გული შურმა და ეჭვიანობამ მოიცვა. მას არ სურდა, რომ ჰაჯერი მათთან

დარჩენილიყო. მისი ასეთი რეაქცია ბუნებრივი იყო, მაგრამ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ღვთიური გეგმის განხორციელებისთვის ასე იყო საჭირო. ბოლოს, იბრაჰიმმა წაიყვანა ჰაჯერი და ისმაილი და დღევანდელი მექას ტერიტორიაზე უნდა დაეტოვებინა. ეს ადგილი საცხოვრებლად აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო. იბრაჰიმი ფიქრობდა ამაზე და შემდეგში, როდესაც მან, თავის შვილთან ერთად ქააბა ააგო, ღმერთს ევედრებოდა, რომ ამ ტერიტორიაზე ადამიანები გამრავლებულიყვნენ.

იბრაჰიმის იქ მისვლა შემთხვევითი არ ყოფილა. ღმერთს ასე სურდა და იბრაჰიმიც დაემორჩილა. (იხ. ბაყარა 131). მის ამ მორჩილებას ჰაჯერიც იზიარებდა, რადგან ის ამ უკაცრიელ ადგილას შვილთან ერთად უნდა დარჩენილიყო. იბრაჰიმი კი სარასთან უნდა დაბრუნებულიყო. მართალი იბრაჰიმს უძნელდებოდა ამ გადაწყვეტილების შესრულება, მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც ჰაჯერისთვის იყო, ამიტომ მისი მხრიდან ეს იყო ღვთისადმი სრული მინდობის დადასტურება. ჰაჯერი პატარა ბავშვით რჩებოდა ისეთ უკაცრიელ უდაბნოში, სადაც, როგორც იტყვიან არც ჩიტი გადაიფრენდა და არც ქარავანი გაივლიდა. გადმოცემის თანახმად ჰაჯერმა ჰკითხა იბრაჰიმს თ სად მიდიოდა და რატომ. უბრაჰიმმა უპასუხა, რომ ასეთი იყო ღმერთის

ნება. მაშინ ჰაჯერი დათანხმდა და თქვა: „თუ ასეა, წადი. ღმერთი კმარა ჩვენთვის. ის უპატრონოდ არ მიგვატოვებს“. (ბუჰარი საჰიჰ, ქითაბულ ენბია 9)

დიახ, ღმერთი საკმარისი იყო და მან ჰაჯერი სულიერად გამოწრთო. რამოდენიმე დღის საკვები და წყალი ჰქონდათ და როდესაც შემოელიათ ჰაჯერი წყლის ძიებას შეუდგა. ის საფასა და მერვეს გორაკებს შორის დარბოდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ჰაჯის ერთ-ერთ ცნობილ რიტუალს, რომელსაც „საი“ ეწოდება. ღმერთი მას აუცილებლად დაეხმარებოდა, მაგრამ ჰაჯერს უნდა ეზრუნა, მცდელობა გამოეჩინა. მისი ეს სირბილი და წვალება შემდგომში, დედამიწაზე უკანასკნელი სარწმუნოების ერთ-ერთი ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. დღეს საის შესრულების რიტუალი შვილის გადასარჩენად დედის დაუღალავი მცდელობის სიმბოლოა. შემდეგ, როცა მისი მეუღლე, შუამავალი იბრაჰიმი აგიზგიზებულ ცეცხლში ჩააგდეს, ცეცხლი გრილ ბაღნარად გადაიქცა, ხოლო წყურვილით შეწუხებულ ჰაჯერს ღმერთმა შუაგულ უდაბნოში წყარო გაუჩინა, რომელიც დღეს „ზემზემის“ სახელითაა ცნობილი.

## ჰანა

ჰანა შუამავალ იბრაჰიმის შთამომავალის, ებრაელთა ერთ-ერთი წარჩინებულთაგანის, იმრანის ცოლი იყო. ჰანა, ისევე როგორც თავისი ქმარი, ღრმად მორწმუნე იყო. ჰანას დიდი ხანი შვილი არ უჩნდებოდა. ერთ დღეს ჰანამ ღმერთს სთხოვა, ოღონდ შვილი გამიჩნდეს და ტაძარს უნდა შევწიროო. ღმერთმა შეისმინა ჰანას ვედრება და ის დაორსულდა. მათ ქალიშვილი შეეძინათ. ამით ისინი უკმაყოფილო არ იყვნენ, მაგრამ ერთი პრობლემა იყო, ტაძარში გოგონების მიბარება არ შეიძლებოდა. ჰანა ღმერთზე მიცემული პირობის შესრულებას აპირებდა და არ დალოდებია იმ დროს, როდესაც ბავშვი გაიზრდებოდა. როგორც მოგახსენეთ იმდროინდელი სარწმუნოება გოგონას ტაძარში მიბარებას კრძალავდა, მაგრამ ამის მიუხედავად ღმერთისთვის მიცემული პირობა უნდა შესრულებულიყო. გოგონას მარიამი დაარქვეს და ტაძარში მიაბარეს. ტაძარში მისი აღზრდა შუამავალმა ზაქარიამ ითავა. ეს მოვლენა მოთხრობილია ყურანში:

„აკი, თქვა იმრანის ცოლმა: „უფალო ჩემო, „რაც ჩემს მუცელშია, უპირობოდ შენ აღგითქვი ,ყველაფრისგან თავისუფალი, მიიღე ჩემგან . უეჭველად, შენ  და მხოლოდ შენ ხარ ყოვლისმსმენი და ყოვლისმცოდნე.

და როცა შეეძინა იგი, თქვა: „ღმერთო ჩემო! აი, მე შემეძინა იგი გოგო.“ ალლაჰმა უკეთ უწყის, რაც შვა მან, თუმცა ვაჟი არ არის მსგავსი ქალის , „და დავარქვი მას მარიამი, და შენ გაბარებ მას და მის შთამომავლობას, ფარავდე ეშმაკისგან, ქვებით ჩაქოლილისგან!“

მიიღო იგი უფალმა მისმა ჩინებულად და გაზარდა კეთილშობილ მცენარედ და მიუჩინა მზრუნველად ზაქარია. ყოველთვის, როცა ზაქარია შედიოდა მასთან მიჰრაბში , ხედავდა სარჩოს მის წინ. ჰკითხა: მარიამ, საიდან ეს შენ? მიუგო: „ალლაჰისგან არის ეს!“ უეჭველად, ალლაჰი აძლევს სარჩოს უთვალავს, ინებებს ვისაც.“ (ალი იმრან 35, 36, 37)

## მარიამი- სათნოების სიმბოლო

მარიამი ღრმადმორწმუნე და უკიდურესად სათნო ადამიანი იყო. ის ტაძარში აღიზარდა და ყოველგვარი ზიანისგან დაცული იყო. მრანისა და ჰანას ქალიშვილი მარიამი ყურანში მრავალ ადგილასაა შექებული.

შუამავალ ზაქარიას მეთვალყურეობის ქვეშ აღზრდილი მარიამი ღვთისმოშიშო-

ბისა და სათნოების განსახიერება იყო. მას ერთი ღვთიური სასწაული კიდევ ელოდა წინ. მანამდე და არც მას შემდეგ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. მარიამს ანგელოზი გამოეცხადა და ვაჟის დაბადება ახარა. მარიმმა გაიკვირვა, შვილი როგორ მეყოლება არავინ შემხებიაო. ანგელოზმა აუხსნა, რომ ღვთის ნება ასეთი იყო.

„და მოიხსენიე წიგნში მარიამი . როცა განერიდა იგი თავის ოჯახს აღმოსავლეთისკენ,

შემდეგ დაიდგინა მათგან გამყოფი ფარდა. მაშინ ჩვენ წარვგზავნეთ მასთან ჩვენი სული ,რომელიც მის წინაშე სრულყოფილი კაცის იერით წარსდგა.

უთხრა : „უეჭველად, მე მივეკედლები მოწყალეს შენგან, თუკი ღვთისმოშიში ხარ შენ “.

მიუგო: „მე მხოლოდ შუამავალი ვარ შენი ღმერთისგან, რომ გაჩუქო შვილი სპეტაკი “.

უთხრა : „როგორ მეყოლება ძე, როცა მე კაცი არ შემხებია და არ ვყოფილვარ მე მსუბუქი ყოფაქცევის ქალი?“

მიუგო : სწორედ ასე ბრძანა შენმა ღმერთმა: „ეს ჩემთვის იოლია, რომ დავად-

გინოთ იგი სასწაულად ხალხთათვის და წყალობად ჩვენგან . ეს საქმე გადაწყვეტილია!“ (მერიემ 16-21)

მატერიალური სამყაროს საზომების მიხედვით შეუძლებელი რამ იყო ეს, მაგრამ ღვთის ნება უზენაესია და მას ყველაფერი შეუძლია. ეს სასწაულებრივი ნაყოფი გამხმარი ხურმის ხის ძირას დაიბადა. როგორც მწყურვალე ჰაჯერს სულზე მოუსწრო ზემზემის წყალმა, ასევე ღვთის ნებით ხმელი ხის ძირას წყარო ამოვიდა, ხე მწვანედ შეიმოსა და ახალი ხურმა მოისხა, ნიშნად მარიამის უცოდველობისა.

მარიამი ძალიან ღელავდა. როგორ აუხსნიდა ამ ყველაფერს ხალხს? ადამი და ევა მშობლების გარეშე მოევლინენ ამქვეყანას და ეს ჩვილი კი მამის გარეშე გაჩნდა. როგორ უნდა აეხსნა ეს, გაუგებდნენ კი? ეს ღვთიური გეგმა იყო და ღმერთმა მარიამს შესაბამისი გამბედაობაც უწყალობა. მარიამი გაბედულად ადგა და ბაშვიანად თავის ხალხთან მივიდა. მისი გვარისთვის ეს იოლად გასაგები მოვლენა არ იყო. მათ იცოდნენ, რომ მარიამი ჯერ კიდევ დაბადებამდე ტაძარში იყო შეწირული, იქ აღიზარდა და სათნოების განსახიერება იყო, მაგრამ ახლა ბავშვით ხელში მათ წინაშე წარსდგა. ამ ამბავმა გააოგნა ისინი. მათ ცილი დასწამეს მარიამს და ლანძღვა და-

უწყეს. მარიამმა ღვთის ნაკარნახევი პირობა დაიცვა და ხალხს არ დაელაპარაკა. პასუხის მისაღებად ბავშვისკენ უთითებდა. ხალხმა გაიოცა, აკვნის ჩვილთან როგორ უნდა ვილაპარაკოთო.

„მაშინ მოესმა მას ხმა წიაღიდან : არ დამწუხრდე, უკვე შენმა უფალმა შენს ფეხებს ქვეშ ნაკადული დაადგინა .

შეარხიე შენსკენ ხურმის შტო, რომ ჩამოცვივდეს შენთან მწიფე ნაყოფი;

ჭამე და სვი და გილოცავთ! მაგრამ თუ დაინახავ ვინმე სულიერს,

მაშინ უთხარი : „უეჭველად, მე აღვუთქვი მოწყალეს მარხვა , ამიტომაც დღეს არც ერთ ადამის შვილს არ დაველაპარაკებიო “.

ბავშვით ხელში თავის ხალხთან დაბრუნდა. უთხრეს: „ჰეი მარიამ, ძალიან ცუდი საქმე ჩაიდინე !

დაო ჰარუნის, არ იყო მამაშენი ცუდი კაცი, და არც დედაშენი იყო მსუბუქი ყოფაქცევის ქალი!“

მიუთითა მისკენ . უთხრეს: „როგორ ველაპარაკოთ მას ჩვენ, როცა იგი ჩვილია, აკვანში მწოლიარე?“ (მერიემ 24-29)

სასწაული გაგრძელდა. ჩვილმა ხმა ამოიღო და იქ მყოფ ადამიანებს მიმართა:

„მიუგო :„უეჭველად,მე ალლაჰის მსახური ვარ. მე მიბოძა წიგნი  და მე დამადგინა შუამავლად.

და მე დამადგინა დალოცვილი, სადაც არ უნდა ვიყო; და მე სიცოცხლის ბოლომდე ლოცვა და ზექათი დამავალა!

და  თავაზიანი ჩემი მშობელი დედისადმი, არ დავუდგენივარ ულმობელ მოძალადედ!

მშვიდობა იმ დღეს, როცა მე დავიბადე, იმ დღეს, როცა მოვკვდები და იმ დღესაც, როცა აღვდგები ცოცხალი!“ (მერიემ 30-33)

ღვთის შუამავალო, ჩვენ, როგორც მუსლიმები,როგორც უკანასკნელი შუამავლის მიმდევრები გაღიარებთ და გვწამს, რომ შენც ღვთის მონა და შუამავალი ხარ.

ჰავლე ბინთი სამით- უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ქალი

არაბების ადათის მიხედვით მამაკაცს შეეძლო ერთი ფრაზის წარმოთქმით ცოლს გაშორებოდა. თუ ქმარი ეტყოდა რომ შენ დედაჩემის მსგავსი ხარო, ის ქალი უკვე

მისთვის არამი იყო. თუმცა, ასეთ შემთხვევაში ქალი მთლად განქორწინებულად არ ითვლებოდა და უბრალოდ ქმრის გარეშე რჩებოდა. იგივე მდგომარეობა შეექმნა ერთ-ერთ მუსლიმ ქალბატონს ჰავლე ბინთი სამითს, რომელსაც ქმარი ერთი გაბრაზების გამო ასე მოექცა. მართალია ჰავლეს ქმარმა მალევე ინანა, მაგრამ ტრადიცია მკაცრი იყო და მას მიაჩნდა, რომ ცოლთან შერიგების უფლება აღარ ჰქონდა. ჰავლემ გადაწყვიტა შუამავლისთვის შეეჩივლა. ასეც მოიქცა, მაგრამ შუამავალმა უთხრა, რომ ამ საკითხის შესახებ ღვთიური გზავნილი ჯერ არ იყო მოსული და ტრადიციას უნდა დაემორჩილოო. რამოდენიმე მცდელობის შემდეგ ჰავლე იგივე პასუხს იღებდა, ამიტომ ცრემლიანი თვალებით ღმერთს შესჩივლა ნათელი მოეფინა ამ საქმისთვის. ღმერთმა ისმინა ჰავლეს ვედრება და შუამავალს მუჯადელეს სახელით ცნობილი სურა მოუვლინა, სადაც ამ მავნე ტრადიციაზეა საუბარი. შემდეგში მოვლენილ აიათებში ნაბრძანები იყო, რომ თუ ამ გზას მიამრთავდა, ქმარი ვალდებული იყო ჯარიმის სახით სამოცი დღე ემარხულა, ან მონა გაეთავისუფლებინა, ან კიდევ სამოცი ღარიბი დაეპურებინა. შუამავალმა ჰავლეს ქმარი, ევსი იხმო, აღნიშნული ჯარიმის გადახდა დაავალა და ამის შემდეგ ნება დართო ცოლს შერიგებოდა და ჩვეულებრივ გაეგრძლებინა ცხოვრება.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქალის უფლებები და მათი პრეტენზიები არავის ესმოდა და ქალის პროტესტი წარმოუდგენელი რამ იყო. ჰავლეს დავა სამაგალითო იყო და ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნისვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა.

ჰზ. აიშე- ცილისწამების მსხვერპლი, რომლის შესახებ ღვთიური გზავნილი იქნა მოვლენილი

მოვლენა, რომლის შესახებაც ახლა ვისაუბრებთ ისლამის ისტორიაში „იფქ"-ის სახელითაა ცნობილი. საკითხი შუამავლის ძვირფას მეუღლეს ჰზ.აიშეს ეხება.

როდესაც შუამავლის ჯარი ერთ-ერთი ლაშქრობიდან ბრუნდებოდა ჰზ. აიშე ჯარს შემთხვევით ჩამორჩა. მას წამოეწია ერთ-ერთი მეომარი საფფანი და აქლემზე შესვა და ჯარს დააწია. ამის გამო აგორდა ჭორი, რომელიც შუამავლის ყურამდე მივიდა. შუამავალმა მეგობრები შეკრიბა და ითათბირეს ყველა ამტკიცებდა, რომ ეს ყველაფერი ბინძური ჭორი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ყურანი მორწმუნეებს ასწავლიდა, რომ შუამავალი თავიანთ სულზე მაღლა დაეყენებინათ მისი მეუღლე მათთვის დედა იყო, ზოგიერთმა

ჭორის გავრცელებას ხელი შეუწყო. შუამავალმა მოუწოდა აუშეს ეთქვა სიმართლე და თუ რამე დააშავა მოენანიებინა. აიშე გაოგნებული იყო. ის შუამავლის მეუღლე და აბუ ბაქარის ქალიშვილი იყო. ყველა გაოგნებული ელოდებოდა. ამ დროს ღმერთმა ინება სიმართლის გამოაშკარავება და სურა „ნურ“-ის აიათები მოვლენილ იქნა. ეს აიათები ამტკიცებდა, რომ ჰზ. აიშე უდანაშაულო იყო და ცოდვილმა ადამიანებმა ცილი დასწამეს.

1. „უეჭველად, რომელთაც ცილი დასწამეს, თქვენგანნი არიან. არ ჩათვალოთ იგი სიავედ თქვენთვის. პირიქით, იგი სასიკეთოა თქვენთვის. მათგან ყოველ ადამიანს ჩადენილი დანაშაულის წილი მიეგება. და მათგან, რომელმაც ამის დიდი ნაწილი აიღო თავის თავზე, მოიგონა და გაავრცელა, მისთვისაა გამზადებული უდიდესი სასჯელი!

2. როცა გაიგონეთ ეს, მორწმუნე კაცები და ქალები რატომ არ დაფიქრდით კარგად და არ თქვით: „ეს ცხადი ცილისწამებაა?“

3. რატომ არ მოიყვანეს ამის დასამოწმებლად ოთხი მოწმე? თუ მოწმეებს არ მოიყვანებენ, მაშინ ეგენი ალლაჰის წინაშე ცრუნი არიან.

4. და რომ არა მადლი ალლაჰისა თქვენდამი და შეწყალება მისი სააქაოშიც და საიქიოშიც, უთუოდ შეგეხებოდათ უდიდესი სასჯელი იმისათვის, რაშიც ყელამდე იყავით ჩაფლულნი.

5. აკი იკვლევდით! თქვენი ენით და ბაგეებით ამბობთ იმას, რისი ცოდნაც არ გაგაჩნიათ, და ფიქრობთ, რომ ეს საქციელი უმნიშვნელოა, არადა ალლაჰის წინაშე ეს დიდი ცოდვაა!

6. და როცა ეს გაიგონეთ, რატომ არ თქვით: „არ გვეკადრება ამის თქმა. დიდება შენდა! ეს დიდი ცილისწამებაა?“

7. ალლაჰი გაფრთხილებთ, აღარასდროს გაიმეოროთ მსგავსი რამ, თუკი ხართ მორწმუნენი!

8. და ცხადყოფს ალლაჰი თქვენთვის აიათებს. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

9. უეჭველად, რომელთაც უყვართ რომ გაავრცელონ საზიზღრობა იმათ შორის, რომელთაც ირწმუნეს, სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი სააქაოშიც და საიქიოშიც. ალლაჰი უწყის, და არ იცით თქვენ!

10. და რომ არა მადლი ალლაჰის თქვენდამი და შეწყალება მისი, და რომ

არ ყოფილიყო ალლაჰი მიმტევებელი და მწყალობელი, (რა გეშველებოდათ)!...

11. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ გაჰყვეთ კვალნსა ეშმაკისას. და ვინც მიჰყვება კვალნსა ეშმაკისას, იცოდეს, რომ იგი მოუწოდებს სიბილწისაკენ და უგვანობისკენ. და რომ არა მადლი ალლაჰისა თქვენდამი და შეწყალება მისი, ვერც ერთი ვერასდროს განიწმინდებოდით. მაგრამ ალლაჰი განწმენდს იმას, ინებებს ვისაც. ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა! (ნურ 11-26)

მოგვიანებით ჰზ. აიშე ამ ამბავს იხსენებს და ამბობს: „მე ვიცოდი,რომ ღმერთი ჩემს სიმართლეს დაამტკიცებდა,მაგრამ ეს თუ ყურანის აიათებში ადგილს დაიჭერდა არ მეგონა“-ო. (ბუჰარი, შეჰადეთ 15)

# მოინწმუნეთა დედა ჰზ. აიშე

ჰატიჯე ქუბრა გორმეზ

ორი ლამაზი მეგობარი, შუამავალი და მისი ახალგაზრდა, ჭკვიანი მეუღლე. განსაკუთრებული მასწავლებელი და ასევე განსაკუთრებული მოსწავლე. შუამავალი და აიშე...

მრავალი პრობლემების, ბრძოლის, რწმენის გავრცელების რთულ პერიოდში ყველაზე მეტს ის სწავლობდა. ყველაზე მეტი მას უნდოდა გაეგო და მუდმივად ცოდნის შეძენის წყურვილი ჰქონდა.

ჰზ. აიშეს ჯერ კიდევ ბაშვობაშივე მამა, აბუ ბაქარმა ყურანი შეასწავლა. აბუ ბაქარი შუამავლის უახლოესი მეგობარი იყო. ისინი ახლოს ცხოვრობდნენ და ყოველთვის ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. აიშე პატარაობიდანვე ცდილობდა ყურანი ზეპირად ესწავლა და ასევე გაუგებარ ადგილებს პირადად შეუამავალს ეკითხებოდა.

შემდეგ ისინი დაქორწინდნენ და აიშე მედინაში ყველასათვის ძვირფასი ქალბატონი გახდა. ის ყოველდღეთვალყურს ადევნებდა სარწმუნოების გავრცელების პროცესს, ისლამის სწავლებასა და შუამავლის ქმედებებს. ის ბუნებრივია ყველაზე მეტ დროს ატარებდა შუამავალთან და მისგან ბევრს სწავლობდა. ისმენდა ყურანის განმარტებებს, აიათების მნიშვნელობას და სხვა.

ჰზ. აიშეს გამორჩეული გამჭრიახობა, გახსნილი გონება და მდიდარი ფანტაზიის უნარი ჰქონდა, ამიტომ მხოლოდ მას შეეძლო ისეთი შეკითხვები დაესვა შუამავლისთვის, რომლებიც სხვებს აზრადაც არ მოუვიდოდათ. თუ რაიმე საკითხში ვერ გაერკვეოდა დაუღალავად ცდილობდა, არ მოეშვებოდა და აუცილებლად დამაკმაყოფილებელ პასუხებს იღებდა.

ის არასოდეს იყო პასიური მსმენელი და შემდგომში სხვებს როცა ასწავლიდა, მაშინაც გამორჩეულად აქტიური იყო. ყველა საკითხს დეტალებამდე იძიებდა, ყველა შესაძლო ვარიანტს განიხილავდა და საბოლოოდ ყველაფერს კარგად იგებდა.

იმ პერიოდის მედინაში წარმოუდგენელი განვითარება და აღმასვლა იგრძნობოდა. შუამავალი ყველა საკითხში აიშეს

ათვითცნობიერებდა და ეს შემთხვევითი არ იყო. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ რომ აიშეს მხრიდან დაუღალავი ცოდნის წყურვილი იყო. მისი ეს მოწადინება შუამავლის მოღვაწეობისა და ზოგადად ისლამის გავრცელების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანების აზრი, რომლებიც ყურანის აიათების მოვლინების მოწმენი ხდებოდნენ.

ჰზ. აიშეს კიდევ ერთი გამორჩეული თვისება გახლდათ ის, რომ ყველასთან ინტერაქტიული კომუნიკაცია შეეძლო. ის, ძირითად წყაროებში მოცემულ საკითხებს პირადად შუამავლისგან ისმენდა და განიხილავდა.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი საკითხის შესახებ შეკითხვას პირველი ის სვამდა. ამაზე თვადაც საუბრობდა და შუამავალიც ადასტურებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა ადამიანებს ამდენი დროის საშუალება არ ჰქონდათ. ასევე მისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო ენახა შუამავლის ოჯახური ცხოვრების წესები, ღამის ღვთისმსახურება და სხვა. შესაბამისად ამ ტიპის ინფორმაცია სწორედ მისგან იქნა გავრცელებული და დადასტურებული.

ჰზ. აიშე ეცნობოდა და სხვა ქალბატონებს აცნობდა ქალთა მიმართ არსებულ სპეციფიკური შინაარსის დებულებებს და ოჯახური ურთიერთობის ნორმებს. თუმცა, ის მხოლოდ ასეთი ვიწრო მიმართულებით კი არ იყო დაკავებული, ის ყველა სფეროში ფლობდა ინფორმაციას და შუამავლის სიტყვებს გადმოგვცემდა. სწორედ მას ეკუთვნის შუამავლის შესახებ ნათქვამი ცნობილი სიტყვები: „მისი მორალი ყურანი იყო“.

შუამავალსა და აიშეს შორის დიდი სიყვარული და მეგობრობა სუფევდა. ჩვენ ამაზე მოკლედ ვისაუბრეთ. ახლა კი რამოდენიმე მაგალითით მოგაწვდით ინფორმაციას მათზე, როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეზე.

ყურანის ერთ-ერთი აიათის, კერძოდ კი მუმინუნის სურას მე-60 აიათში ღმერთი ბრძანებს:

„და რომელნიც გასცემენ გასაცემს და მათი გულები შიშით ძრწიან, რომ თავიანთ ღმერთთან იქნებიან დაბრუნებულნი,“

აიშემ ამ აიათის განმარტება შუამავალს სთხოვა. ებუ ჰურეირეს გადმოცემით ჰზ. აიშეს შეკითხვა ასეთი იყო: „შუამავალო, ვინ იგულისხმებიან მათში, მრუშე-

ბი, ქურდები და ალკოჰოლის მსმელნი? შუამავალმა უპასუხა: „არა აბუ ბაქარის ქალიშვილო, ესენი არიან მარხვის დამცველნი, ნამაზის მლოცველნი და ზექათის გამცემნი, რომლებსაც ეშინიათ, ვაითუ ჩვენი ნამოქმედარი ღვთის წინაშე მიღებული არ იყოსო“.

მორწმუნეთა დედად წოდებული ჰზ. აიშე შუამავლთან ყველაზე მეტ დროს ატარებდა, ამიტომ შუამავლის მიერ შესრულებული ღვთისმსახურების, ვედრებისა და ქცევების შესახებ ყველაზე მეტი იცოდა. ის ყურადღებით აკვირდებოდა, სწავლობდა და თავადაც ასრულებდა. რასაც ვერ გაიგებდა მაშინვე შუამავალს ეკითხებოდა.

აიშე ხედავდა, რომ შუამავალი ძალიან ხშირად აღავლენდა ვედრებას. ასე ხშრად რატომ აკეთებ ამასო, ჰკითხა მან შუამავალს. შუამავალმა ალი იმრანის მე-8 აიათით უპასუხა:

„(ისინი ასე შეევედრებიან) ღმერთო ჩვენო! არ დაუშვა, რომ ჩვენი გულები გადაიხარონ მას მერე, რაც შენ სწორ გზაზე დაგვაყენე. და მოგვანიჭე წყალობა შენი, უეჭველად, შენ ხარ მომმადლებელი (მომნიჭებელი).

შუამავალსა და მის მეუღლეს შორის დიალოგი ხშირად რჩევებისა და დარიგე-

ბებისგან შედგებოდა. ხშრად ის ყურანის აიათებით პასუხობდა ხოლმე:

„მაშ, მოითმინე, როგორც მოითმინეს მტკიცე ნების მქონე შუამავლებმა და არ ითხოვო დაჩქარება მათთვის, რამეთუ იმ დღეს იხილავენ იმას, რაც აღთქმული ჰქონდათ, რომ მათ არ დაუყვიათ, გარდა დღის ერთი საათისა. (ეს ყურანი) ცნობარია . განა განადგურდება ვინმე, მეამბოხე ცოდვილი ხალხის გარდა?!“ (აჰქაფ 35)

მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება. საბოლოოდ, გავიმეორებთ, რომ ჰზ. აიშე შუამავლის სიცოცხლეში ყოველთვის გვერდით ედგა. იყო ერთგული და უზომოდ მოსიყვარულე მეუღლე. ის სწავლობდა შუამავლისგან და ასრულებდა. დაიღალავად ცდილობდა შეესწავლა მეტი და შემდგომში ეს ყველაფერი ხალხს გადასცა.

ჰზ. აიშე შუამავლის გარდაცვალებიდან 47 წლის მანძილზე ხალხს ასწავლიდა ყველაფერ იმას, რაც შუამავლისგან და ყურანისგან ისწავლა.

ის იყო ყოვლად დასაფასებელი ქალბატონი, რომელმაც ისლამის კულტურაში დიდი წვლილი შეიტანა. ის ყოველი მუსლიმი ქალისთვის განსაკუთრებული მაგალითი იყო.

# მოცეხილი ხელი

პროფ. ჰაქქი უნალ

რუბეი ბინთი მუავიზი გადმოგვცემს. საბით ბინ ქაისმა ცოლი, ჯემილე ბინთი აბდულლაჰი გალახა და მკლავი მოსტეხა. ეს მბავი ჯემილეს ძმამ შუამავალთან მიიტანა და დის გალახვის გამო სიძეს უჩივლა. შუამავალმა დაიბარა საბითი და უბრძანა განქორწიებულიყო. საბითი დათანხმდა. შუამავალმა ჯემილეს უთხრა, რომ შესაბამისი დრო დალოდებოდა და შემდეგ შეეძლო თავის ოჯახში წასულიყო. (ნესაი, თალაქ 53)

შემოთავაზებული ჰადისი მოკლე შინაარსიდან გამომდინარე ნათლად ჩანს შუამავლის რეაქცია ოჯახური ძალადობის ფაქტზე. ოჯახური ძალადობა კი კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად იყო და ძირითადად ქალის მიმართ ხორციელდებოდა. ამ ამბავში ყურასაღებია ის მომენტი, რომ შუამავალმა საბითს არ გამოჰკითხა თუ რატომ სცემა მეუღლე. მიზეზი არ

იკითხა და არც შერიგება უცდია კლასიკური ფრაზებით: „ოჯახში ხდება ასეთი რამეები“ და ა.შ. შუამავალმა შევიწროებული ცოლი მოძალადე ქმრისგან გაათავისუფლა. ეს არის მისი ქცევის მოდელი, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავს სიტუაციაში. შუამავალს არასოდეს აუწევია ქალზე ხელი და უფრო მეტიც, შეურაცხმყოფელი სიტყვაც კი არ უკადრებია.

არცერთ მუსლიმს არ აქვს უფლება გაამართლოს და მხარი დაუჭიროს ძალადობას. ღვთიური გზავნილი შუამავალმა გვასწავლა და ის ძალადობის მომხრე არასოდეს ყოფილა. როგორც ნამაზს ვასრულებთ ისე, როგორც მან გვასწავლა, მეუღლესაც ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც თვითონ ექცეოდა. „თქვენს შორის ყველაზე კარგი ისაა, ვინც ქალებს კარგად ექცევა“,-ბრძანებს შუამავალი ჰადისში. (თირმიზი, რადა 11)

muslim.ge
Muslim International Charity

რუმის სურას 21-ე აიათში კი ღმერთი ბრძანებს:

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება.

უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!

ქორწინება და განქორწინება ორივე მხარისთვის სამართლებრივ პასუხისმგებლობებს წარმოშობს. განქორწინების შემთხვევაში არცერთი მხარე არ უნდა დაიჩაგროს. ისლამის მიზანი ადამიანთა სიმშვიდისა და ბედნიერების უზრუნველყოფაა. მთავარია, რომ მიზანი ესაა და სხვა მხრივ, დროთა განმავლობაში ტექნიკური ცვლილებები დიდი მნიშვნელობის მატარებელი არ არის. გამომდინარე აქედან, როდესაც ოჯახში გაუსაძლისი გარემო წარმოიქმნება, როდესაც მეუღლეები ამას დიალოგით ვერ აგვარებენ, როდესაც მათი კეთილისმყოფელთა ჩარევა და სწორი რჩევებიც უმოქმედოა და წყვილი ერთად თანაცხოვრებას ფაქტიურად ვეღარ ახერხებს, უნდა გაშორდნენ, რათა ცოლი ან ქმარი, ან ბავშვები ძალადობის მსხვერპლი არ გახდნენ. რაც არ უნდა იყოს ოჯახური პრობლემების დროს ძალადობის გზა გაუმართლებელია. ან დიალოგით და ურთიერთგაგებით უნდა მოგვარდეს, ან კიდევ სამართლიანი განქორწინებით.

# ღვთისმოშიშობა სქესზე ან არის დამოკიდებული

დამხმარე დოცენტი: ჰულია ალპერ

ყურანი ცხოვრების ყველა სფეროში სამართლიანობის დასამკვიდრებლად ძირითად პრინციპებს ადგენს და გვასწავლის, რომ ადამიანი უმაღლეს საფეხურს მხოლოდ ღვთისმოშიშობით მიაღწევს და აქ სქესობრივი განსხვავება საერთოდ არ იგულისხმება. ღვთისმოსაობა სქესზე სულაც არ არის დამოკიდებული და ის ზოგადად ადამიანის მისაღწევი მდგომარეობაა. ადამიანი გაჩენის თვალსაზრისით ყველა თანასწორია არავის არავისზე დაბადებიდან თანდაყოლილი პრივილეგია ან უპირატესობა არ გააჩნია. გამომდინარე აქედან ყველა ადამიანს, ქალი იქნება თუ კაცი, შეუძლია აიმაღლოს სულიერი მდგომარეობა. ადამიანის სულიერი ამაღლება გარეგანი, მატერიალური ღირებულებებისა და მახასიათებლების გარეშე ხდება. ის სხეულის ფორმებსა და სქესზე არ არის დამოკიდებული. მითუმეტეს, სულს სქესი არ გააჩნია.

ყურანში არის აიათები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის ფიზიკური აგებულების გათვალისწინებით შესაბამის პასუხიმგებლობებს ანაწილებს, მაგრამ ღვთისმოშიშობას, მორწმუნოებას რაც შეეხება, ყველა მოწოდება ზოგადია და ადამიანიასადმია. ყურანში ხშირად არის გამოყენებული მიმართვა „ადამიანებო“.

ცალკე ქალს ან ცალკე კაცს კი არა, ღმერთი ადამიანებს მოუწოდებს ჭეშმარიტი რწმენისკენ და ასევე შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს. ღვთიური გზავნილის ადრესატი ადამიანია და არა კაცი ან ქალი. ორივე მათგანი დედამიწის მპყრობელად ჰყავს გაჩენილი ღმერთს და აკისრებს ვალდებულებას რწმენით დადგენილი წესისამებრ მოექცენ ერთმანეთს და ასევე დედამიწაზე არსებულ სხვა არსებებს.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე ქალიც და მამაკაციც თანასწორად განიკითხებიან საიქიოში. ყურანი ყოველგვარი არასწორი ინტერპრეტაციების შესაძლებლობას გამორიცხავს და ცხადად ბრძანებს, რომ ყოველი ადამიანი თავისივე ნამოქმედარის მიხედვით განიკითხება.

„და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც“. (ნეჯმ 39)

„ვედრებანი: „უეჭველად, მე არ დავუკარგავ ნაღვაწს, ვინც იღვაწა თქვენგან, კაცსა თუ ქალს, ერთმანეთისაგან ხართ თქვენ. ხოლო ისინი, რომელნიც გადაიხვეწნენ და განიდევნენ თავიანთი სახლებიდან და იყვნენ წამებულნი ჩემს გზაზე, იბრძოდნენ და იხოცებოდნენ, უთუოდ, დავფარავ (ვაპატიებ) ავ საქმეებს მათსას და უთუოდ, სამოთხეებში შევიყვან, სადაც ძირს მდინარეები მოედინება ჯილდოდ ალლაჰისგან, და საუკეთესო ჯილდო ალლაჰთანაა.“ (ალი იმრან 195) (იხ. ნისა 124; ნაჰლ 97)

ყოველი ადამიანის ნამოქმედარი უზენაესის მხრიდან შეფასდება და ამ დროს სქესობრივ კუთვნილებას მნიშნელობა არ ექნება. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცე-

ბისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“ (აჰზაბ 35)

გამომდინარე აქედან,ღვთიური განკითხვის დროს ის კი არ არის მნიშვნელოვანი ვინ რა წარმომავლობისაა, ან რა გვარისა და ან რა სქესის, იქ ყველანი ჩვენივე ნამოქმედარის მიხედვით განვიკითხებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვთიური გზავნილი სამყაროში არსებულ ჰარმონიას ადამიანის ცხოვრებაში ნერგავს და შესაბამისად იგივე ჰარმონიულობას უზრუნველყოფს ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობაში. ყურანის აიათების მიხედვით ქალი და კაცი ერთიმეორისგან განცალკევებული არსებები კი არ არიან, არამედ ისინი ერთმეორის შემავსებელი, ერთმეორის საბურველნი არიან.

„ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს ღამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს იწვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ. ახლა შეგიძლიათ თანაეცხოვროთ მათ და ეძიოთ, რაც ალლაჰმა დაგიწესათ“. (ბაყარა 187)

მოგეხსენებათ, შუამავლის ზნეობა თავად ყურანი იყო, ამიტომ შუამავალიც ამ ძირითად პრინციპს ყოველთვის მისდევდა. ის არ განასხვავებდა ადამიანებს სიმდიდრის, სიღარიბის, სქესის, წარმომავლობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, ერთხელ შუამავალმა გაიგო, რომ მედინას მეჩეთის დამლაგებელი შავკანიანი ქალი ავად გამხდარიყო. შუამავალი მის სანახავად მივიდა. იქ მყოფებს დაუბარა, რომ თუ ქალი გარდაიცვლებოდა მისთვისაც გაეგებინებინათ. ერთ საღამოს ეს ქალი გარდაიცვალა. რადგანაც ღამე იყო შუამავლის შეწუხება არ ისურვეს და მიცვალებული მიწას მიაბარეს. შუამავალმა რომ ეს გაიგო ეწყინა, საფლავთან მივიდა და ნამაზი ხელახლა შეასრულა. (იმამ მალიქ, მუვატტა, ჯენაიზ, ჰადისი 15)

როგორც ამ ამბიდან ჩანს, შუამავალი ყველაზე თანაბრად ზრუნავდა და სქესს ან სოციალურ წარმომავლობას მნიშნელობას არ ანიჭებდა.

შუამავლის მიერ ჩამოყალიბებული მუსლიმი მრევლი და მაშინდელი საზოგადოება ღრმად მორწმუნე იყო და იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებში ქალებიც და კაცებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული. ყველა მათგანი ცდილობდა საზოგადოებაში სამართლიანობა და სიმშვიდე დამყა-

რებულიყო. თითოეულ მათგან საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შესაბამისი ვალდებულება გააჩნდა და ასრულებდა. მაგალითად ქალების ერთი ნაწილი ბრძოლებშიც კი იღებდა მონაწილეობას, ხოლო დანარჩენები ადგილზე რცებოდნენ და მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. ასევე ცნობილია ქალთა წვლილი დაჭრილი მეომრების მკურნალობის საქმეშიც.

გამომდინარე აქედან, ძალიან მნიშვნელოვანია მათ შესახებ ვიცოდეთ, რათა მომავალმა თაობებმა მათი მაგალითი აიღონ, რადგან სწორედ მათ შექმნეს და პრაქტიკაში განახორციელეს ყურანის მოძღვრების მიხედვით დადგენილი ცხოვრების წესი. ღვთიური გზავნილის პირველი ადრესატი შუამავალი იყო, ხოლო ის თავის მიმდევრებს გადასცემდა. მათ გაითავისეს, რომ ისინი ერთმანეთისათვის არა კონკურენტები, არამედ მეგობრები იყვნენ და ერთმანეთი უნდა გაეძლიერებინათ. მათ შეისწავლეს თანაცხოვრების სტილი, რომელიც არა დაპირისპირებას, არამედ ერთიანობასა და შემწყნარებლობას გულისხმობდა.

დღეისათვის მუსლიმი ქალის რელიგიური ცხოვრება უფრო და უფრო აქტიური ხდება. ასევე დადებითი ტენდენცია შეინიშნება მათი მხრიდან საზოგადოებრივი აქტიურობის თვალსაზრისითაც. საკითხ-

თან დამოკიდებულება კი სქესთა შორის ბალანსის დაცვით უნდა მოხდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის ღვთის წინაშე სულიერი ამაღლება ღვთისმოშიშობითაა შესაძლებელი და სქესობრივი კუთვნილება რაიმე პრივილეგიას არ წარმოშობს.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

# ქალი, რწმენა და საზოგადოებრივი ვალდებულება

ჰასიბე თურან

საუკუნეების განმავლობაში ქალთა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება შეინიშნებოდა და შესაბამისად საზოგადოებაში ქალთა მიმართ განსხვავებული მიდგომები წარმოიქმნა.

ისტორიას თუ გადავხედავთ ქალები, როგორც სუსტი სქესი, ძალიან ხშირად ნეგატიური დამოკიდებულების მსხვერპლი ხდებოდნენ და უსამართლობას აწყდებოდნენ.

მოგეხსენებათ, საზოგადოების დაახლოებით ნახევარს ყოველთვის ქალები წარმოადგენდნენ. ისტორიიდან ვიცით, რომ ქალების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მუდმივად იყო. სდევნიდნენ, ძალადობდნენ, წვავდნენ და უფრო მეტიც, ცოცხლად მარხავდნენ კიდეც.

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ევამ აცდუნა ადამი და სამოთხიდან გამო-

აძევებინა, ამიტომ გულის სიღრმეში მხოლოდ მას ადანაშაულებენ.

რელიგია ადამიანის გაჩენის დღიდან არსებობს და ის სქესთა შორის განმასხვავებელი და დისკრიმინაციული დამოკიდებულების წარმოქმნის საშუალებას არ იძლევა. შესაძლოა ქალისა და მამაკაცის ფიზიკურმა აგებულებამ განაპირობოს ის, რომ მათ განსხვავებული მოვალეობები დაეკისროთ, მაგრამ რწმენისა და ღვთისმსახურების საკითხებში მათი ვალდებულებები ძირითადად ერთნაირია. განსხვავებას რაც შეეხება, რელიგიური ვალდებულებების მხრივ ქალებს შედარებით ნაკლები ვალდებულებები გააჩნიათ, რადგან ქალი არის დედა, რომელსაც შვილების გაჩენა და აღზრდა ევალება და შესაბამისად განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებს.

ისლამის მიხედვით ღრმადმორწმუნოება, ღვთისმოსაობა ადამიანის მიერ მუდმივად ღვთისადმი ლტოლვას და მისი ბრძანებების შესრულებას გულისხმობს. ისლამმა ადამიანთა შორის უპირატესობის საზომად ღვთისმოსაობა დაადგინა. ეს საზომი ქალსა და მამაკაცს შორის არანაირ განსხვავებულ მიდგომას არ საჭიროებს, ანუ ქალსაც და კაცსაც აქვთ თანაბარი ასპარეზი იყონ ღვთისმოსავები.

ზოგადად, ქალის ღვთისმოსავობა ძალიან დადებითი მოვლენაა საზოგადოებისთვის. ის ყველასთვის სასარგებლო შედეგებს იძლევა. ამგვარი ტენდენციის საჭიროებას მთელი კაცობრიობა განიცდის.

ყველა შუამავლის ცხოვრებასა და რწმენის გავრცელებისთვის ბრძოლაში იყვნენ ქალები. მაგალითად, შუამავლის მეუღლე ჰატიჯე, იესოს დედა მარიამი, შუამავლის შვილი ფატმა. მათი როლი განსაკუთრებული იყო.

ერთხელ ქააბაში მყოფ შუამავალს თავს დაესხნენ. ფატმა მაშინვე იქ გაჩნდა და მამას სახეს წმენდდა. მექელმა ურწმუნოებმა მუსლიმებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ეს ბოიკოტი სამი წელი გრძელდებოდა და მუსლიმებს უკიდურესად გაუჭირდათ. ჰატიჯე თავისი ქონებით ეხმარებოდა მუსლიმებს და ის გაჭირვების წლები გადაატანინა.

ზოგადად სულიერი ამაღლება, ღვთისმოსავობა საზოგადოებისგან განდგომას არ გულისხმობს. პირიქით, ღვთისმოსავი ადამიანი უფრო კომუნიკაბელური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ადამიანია. საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეული ოჯახია და ოჯახთან დაკავშირებული მოვალეობების პირნათლად შესრულება ყურანისე-

ული სწავლება და ვალდებულებაა. ყველა ადამიანს გააჩნია ვალებულებები და პასუხისმგებლობა. ვალდებულებები ოჯახის, გარემოს, საზოგადოების, ერისა და ქვეყნის წინაშე. ადამიანს ამგვარი პასუხისმგებლობისა და ვალდებუელებების გააზრებას რელიგია ასწავლის. ღვთისმოსავი ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე კი აღარ იქნება პასუხისმგებელი, ის გაიაზრებს სხვათა მიმართ პასუხისმგებლობას და ბოლოს სამყაროს წინაშე პასუხისმგებლობის გააზრებამდე მიაღწევს. ამ მხრივ, კიდევ და კიდევ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა როლი და ქალთა ღვთისმოსაობა.

დღევანდელ პირობებში, მოდერნიზაცია ად ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება აიძულებს ადამიანს ჩაიკეტოს ვიწრო სფეროში და ზოგად პასუხისმგებლობას გაექცეს. ადამიანები ფიქრობენ, რომ ოჯახი მძიმე პასუხისმგებლობაა და მარტოობის გზას ირჩევენ. ეს კი საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგ დიდი დარტყმაა. ყურანისა და შუამავლის სუნას მიხედვით ადამიანთა პასუხისმგებლობა ზედმიწვნითაა ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ქალთა ღვთისმოსაობას. ქალები თუ სწორად წაიკითხავენ და სწორად გათავისებენ წმინდა წიგნის გზავნილებს, საზოგადოება კრიზისებს გაუძლებს.

მორწმუნე ქალი გაამყარებს ოჯახს, რომელიც საზოგადოების საფუძველია. ოჯახთან ერთად მას მიეცემა გამბედაობა და ცოდნა საიმისოდ, რომ გლობალურ პრობლემებზეც იფიქროს და მათ მოგვარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს. მოკლედ, კაცობრიობას ძალიან სჭირდება ქალთა მორწმუნოება.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity